ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პრეზიდენტს 2023 წელს 300 დელეგატი აირჩევს. პარლამენტი ქუთაისში რჩება. მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავდივართ




11 აპრილიდან

ბერძნული მითები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




სამშაბათი, 11 აპრილი, 2017 №85 (7320) ფასი: 50 თეთრი

# „პარლამენტის თავმჯდომარემ აღიარა, რომ პრეზიდენტს უსმენენ“




კახა კუკავა:

## „სიკვდილის ბრიგადები

„ქართულ ოცნებასაც“ ჰყავს“



## მარგველაშვილთან აგენტურა ჰყავთ ჩანერგილი?

გია ხუხაშვილი: „ირაკლი კობახიძემ აგვიხსნას, საიდან აქვს სარწმუნო ინფორმაცია მარგველაშვილზე“




## დავით ლორთქიფანიძე: „მარგველაშვილის ტონი არ მომეწონა“






## შალვა შავგულიძე: „თუ კომისიის დატოვება მოგვიწევს, ეს „ქართული ოცნების“ ბრალი იქნება“




## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა




## გიორგი ვაშაძე: „მივიღებთ „ქართულ ოცნებაზე“ მორგებულ კონსტიტუციას“




## პაატა ჯიბლაძე: „ბლოკების აკრძალვას არ შევეგუებით“




## ცხინვალმა პუტინის რჩეულს უარი უთხრა

რა გახდა ანატოლი ბიბილოვის გამარჯვების რეალური მიზეზი




ISSN 1987-9385

# მარგველაშვილთან აგენტურა ჰყავთ ჩანერგილი?

## გია ხუხაშვილი: „ირაკლი კობახიძემ აგვიხსნას, საიდან აქვს სარწმუნო ინფორმაცია მარგველაშვილზე“

ნონა ცაბაძე

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობასა და პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ესაუბრება.

***– ბატონო გია, პარლამენტის თავმჯდომარემ საკონსტიტუციო კომისიის სხდომა კვლავაც პრეზიდენტის მისამართით გაკეთებული განცხადებით დაიწყო. მისი თქმით, სარწმუნო ინფორმაციით, პრეზიდენტი კონსულტაციებს მართავდა არასაპარლამენტო ოპოზიციასა და არასამთავრობო სექტორთან, რათა მათ კომისია დაეტოვებინათ. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– სამწუხაროდ, მსგავსი სენი დასჩემდა ქართულ პოლიტიკურ ელიტას. მათ შორის უმწიფარი ადამიანები განსაკუთრებით აქტიურობენ ხოლმე ამ მიმართულებით. საკუთარ თავში პრობლემის დანახვა არავის უნდა. გაკეთდა სამოქალაქო სექტორის განცხადება, თუ რით არიან ისინი უკმაყოფილო ამ პროექტთან დაკავშირებით, რაც ბოლოს იქნა შეთავაზებული და რა პრინციპული თემებია.

***– პრეზიდენტის მისამართით გაკეთებულ განცხადებაზე რას იტყვით?***

– პრეზიდენტის ხსენება პარლამენტის თავმჯდომარეს დასჭირდა იმისთვის, რომ ვიღაცას გაპრანჭვოდა. მე მაქვს მასთან ძალიან მარტივი კითხვა, სარწმუნო ინფორმაციაზე რომ ლაპარაკობს, საიდან აქვს ეს სარწმუნო ინფორმაცია?! რა, აგენტურა ჰყავთ სადმე ჩანერგილი, სპეცსამსახურების მონაცემებით სარგებლობს? გააკეთოს განმარტება!

***– თქვენ რას ფიქრობთ, არ გაუმართავს პრეზიდენტს კონსულტაციები?***

– სისულელეა ის, რომ პრეზიდენტი ვინმესთან კონსულტაციებს აწარმოებდა. მე პირიქით გეტყვით, როდესაც პრეზიდენტთან იყო სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლის შეხვედრა, ისინი გამოთქვამდნენ პრეზიდენტთან უკმაყოფილებას ამ პროცესთან დაკავშირებით და ისინი ამბობდნენ, თუ ასე გაგრძელდა, ისინი დატოვებდნენ კომისიას, პრეზიდენტი კი ცდილობდა, მათთვის გადაეფიქრებინა ამ ნაბიჯის გადადგმა.

პარლამენტის თავმჯდომარე ყველაფერს თავდაყირა აყენებს, რათა საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინოს და ვიღაცას გაეპრანჭოს! ასევე სერიოზული კითხვები გამიჩნდა „სარწმუნო ინფორმაციასთან“ დაკავშირებით, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?! საიდან იღებენ სარწმუნო ინფორმაციას?



***– როგორ ფიქრობთ, საიდან?***

– ეს ყველაფერი სპეცმეთოდებს ხომ არ უკავშირდება და მოსმენების კანონის ჯიუტად გატანა ამისთვის ხომ არ სჭირდებოდათ? თუ რა ხდება, ვერ გავიგე!

***– მოძრაობამ „სახელმწიფო ხალხისთვის“ უკვე დატოვა საკონსტიტუციო კომისია, საუბარია, რომ არასამთავრობოებიც გეგმავენ გასვლას. გაგრძელდება დემარში?***

– იმდენად არაჯანსაღად ვითარდება ეს პროცესი, რომ მოსალოდნელია, ეს ტენდენციები განვითარდეს. ნახეთ, ხელისუფლებამ როგორ წაიყვანა პროცესი! ლაპარაკობდა დეტალებზე და მერე მთელ კომისიას მიაყენეს შეურაცხყოფა. იმიტომ, რომ კომისიისთვის არ წარუდგენიათ თავიანთი მოსაზრებები და გაატანეს პროექტი ვენეციის კომისიას. ანუ ვენეციის კომისიას უფრო ადრე გააცნეს მოსაზრებები, ვიდრე კომისიის წევრებს! ეს ჯანსაღი პროცესია?

კომისიის წევრები ამბობდნენ, არ ვიცით, რა გაატანესო. როდესაც ასეთი დამოკიდებულებით ხარ შენს პარტნიორებთან, როდესაც ვიღაცას ეჩურჩულები ისე, რომ ამ ხალხმა არაფერი იცის, იქ პარტნიორობაზე ლაპარაკი ძალიან რთულია! თუ ეს ადამიანები პროტესტს გამოთქვამენ, მერე ეს არ უნდა გაგიკვირდეს!

***– თქვენ გამორიცხავთ, რომ ამ ხალხმა პრეზიდენტთან გაიარა კონსულტაცია?***

– რა თქმა უნდა. პრეზიდენტი შესაძლოა ბევრ თემაზე ფიქრობდეს, მაგრამ ის ასე არავის დაელაპარაკება. არც ერთ პარტიას! ის პოლიტიკურად ნეიტრალურია.

***– ბრალსაც გდებენ, გია ხუხაშვილი უგეგმავს დღის წესრიგსო და ესეც უნდა იცოდეთ. ამიტომ გეკითხებით.***

– მე ხომ მაგ უბედურებაში ვარ ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილიდან დაწყებული, მაშინაც ლამის ქვეყანას მე ვმართავდი თურმე და ახლა პრეზიდენტთან გადმოვბარგდი და აქ ვმართავ ყველაფერს. ეს არის ჩვეულებრივი პარანოია და ამ მხრივ არაფერი იცვლება ამ ქვეყანაში.

სხვათა შორის, ამ მიზეზით მე კომუნიკაცია მაქვს შეწყვეტილი ძალიან ბევრ ადამიანთან. იმიტომ, რომ თუ ვინმეს ხელი ჩამოვართვი, მაშინვე იწყება ლაპარაკი, რომ ან რამის წილში ვარ და ან რამეს ვმართავ.

***– თქვენი და გიორგი მარგველაშვილის ურთიერთობებზე რას გვეტყვით. გაზვიადებულია ეს ყველაფერი?***

– პრეზიდენტთან, რა თქმა უნდა, მაქვს კონსულტაციები. მე ამას არ ვმალავ. ჩემი ადამიანური ურთიერთობებიდან გამომდინარე ჩემს აზრს ვეუბნები, ის თავის აზრს მეუბნება.

***– მერე იზიარებს თქვენს რჩევებს?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ მან რაღაცა ჩემი ნათქვამი გაიზიაროს, მაგრამ უფრო ხშირად ნაკლებად იზიარებს. ან პირიქით, მე გავიზიარო მისი აზრი. ეს არის ჩვეულებრივი ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები და არანაირი კავშირი ამას ამ შეთქმულების თეორიასთან არ აქვს. თუმცა, გარდა იმისა, რომ ხელისუფლება ამ სპეცინფორმაციით სარგებლობს, წაკითხვაც ვერ ისწავლა ამ სპეცინფორმაციის.

***– რას გულისხმობთ?***

– სანდო წყაროზე დაყრდნობით რომ ლაპარაკობს პარლამენტის თავმჯდომარე, ეს სრულიად არასერიოზულია. გაგებაც ვერ ისწავლეს იმის, ამ სანდო წყაროს ინფორმაცია რომ მოაქვს, ეს გააანალიზონ და სწორი დასკვნები გააკეთონ. ეს არის პოლიტიკური პარანოია, მეტი არაფერი!

***– ეს გამოუცდელობით მოსდის ირაკლი კობახიძეს?***

– ის სასათბურე პირობებში, ინკუბატორში გამოყვანილი პოლიტიკოსია და რა არის აქ გასაკვირი?! ის ფაქტობრივად გამზადებულზე აღმოჩნდა ამ გაუგებრობაში, რასაც ჰქვია მისი პარლამენტის თავმჯდომარეობა და დღესაც ამ გაუგებრობაშია და იქნება კიდევ რაღაც პერიოდი!

***– პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ძალიან ცუდ კონსტიტუციას ვცვლით ძალიან კარგი კონსტიტუციით, ვენეციის კომისიამაც მოიწონა შესატანი ცვლილებებიო.***

– ვენეციის კომისიას ჯერ დასკვნები არ დაუდია, გამარჯობა რომ უთხრეს და, რომ გაუღიმეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეფასებები გაკეთდა. ეს არ არის სწორი ნათქვამი. შეხვედრაზე, დოკუმენტს რომ გადასცემ, პირდაპირ ჩხუბს ხომ არ დაგიწყებს ვენეციის კომისია. დაველოდოთ კომისიის დასკვნას.



კომისიის წევრებს რაც შეეხება, თუ დღეს ვინმე ტოვებს ამ კომისიას, ეს არის პასუხი იმ შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან!

***– ზურგს უკან და კომისიის გვერდის ავლით მოქმედებს უმრავლესობა?***

– რა თქმა უნდა! თანაც საკუთარ თავში პრობლემის დანახვა არ უნდათ, ისევ ვიღაცას უნდა დააბრალონ. ვის უნდა დააბრალო? რა თქმა უნდა, პრეზიდენტს და ამით ორი კურდღელი დაიჭირონ. ერთი, რომ პრეზიდენტზე დაბრალება მოდაშია და მეორე, ვიღაცას უნდა ასიამოვნონ, მას, ვინც პრეზიდენტზე გაბრაზებულია.

***– თუ დემარში გაგრძელდა, ჩავარდება კომისიის მუშაობა?***

– გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლებას აქვს ყველა ფორმალური ბერკეტი იმისთვის, რომ რაც უნდა, ის მიიღოს, რა თქმა უნდა, მან შეიძლება იმოქმედოს ხელების გადაგრეხვის პრინციპით. შეიძლება ეს გაიტანონ, მაგრამ გრძელვადიანი პროცესი, არა მგონია, მათთვის მაინცდამაინც სასარგებლო იყოს.

# პაატა ჯიბლაძე: „ბლოკების აკრძალვას არ შევეგუებით“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ მემარცხენე ალიანსის პოლიტიკურ მდივან **პაატა ჯიბლაძეს** ესაუბრა.

***– ბოლო დროს ოპონენტები ხშირად ადანაშაულებენ ხელისუფლებას იმაში, რომ ის არ ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების მოსაზრებებს, საზოგადოების ინტერესებს და არავისთან თანამშრომლობს.***

– ხალხს ეკონომიკის განვითარება და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი დაპირებები იმ დოზით არ შეასრულა, რომლითაც უნდა შეესრულებინა. ხელისუფლება უნდა ეცადოს თანხმობის მიღწევას საზოგადოებასთან, რომელიც უკმაყოფილოა. ჩვენი რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტმა მიიღო, ზოგი ნაწილობრივ გაითვალისწინა. ეს, ფაქტობრივად, ხალხის მოთხოვნის შესრულებაა.

ჩვენი წინადადებით, საკანონმდებლო ორგანომ შეამცირა საპროცენტო განაკვეთის ზღვარი ყველანაირ კრედიტზე. სააფთიაქო ნარკომანიის ორგანიზება და ხელშეწყობა პარლამენტის გადაწყვეტილებით უფრო მკაცრად ისჯება, თუმცა, ჩვენ უფრო დიდ სასჯელს მოვითხოვდით. ჩვენი




შვილების განადგურება შესაბამისად უნდა ისჯებოდეს. ჩვენი ინიციატივით, მთიანი სოფლების ნუსხა გაიზარდა და მთიანი რეგიონებისთვის დაწესებული შეღავათებით მეტი სოფელი სარგებლობს. ამ დღეებში შევიტანე კანონპროექტი საუფლო დღესასწაულის, ხარების, უქმე დღედ გამოცხადების შესახებ. ალბათ, მასაც არ შეხვდება წინააღმდეგობა.

***– პარტიები „ქართული ოცნების“ ჩაკეტილობაზე ლაპარაკობენ.***

– „ქართულმა ოცნებამ“ ჯანსაღ ძალებთან მეტად უნდა იკონტაქტოს. როცა ხალხზე მზრუნველად გვევლინება ნაციონალური მოძრაობა, ეს ნდობას არ იწვევს. ის, თუ როგორ ზრუნავს ეს პარტია ქვეყანასა და საკუთარ მოსახლეობაზე, იმ ავადსახსენებელ წლებში ვიწვნიეთ. ნაციონალური მოძრაობის არც ერთი ინიციატივა დასაჯერებელი არ არის. ნაციონალები ქულებს იგროვებენ.

***– პარტიები ხელისუფლებას ხშირად საარჩევნო საკითხების გამო აკრიტიკებენ.***

– საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებას პარტიის დაარსების დღიდან მოვითხოვთ. ბოლო დროს „ქართული ოცნება“ განიხილავს საარჩევნო ბლოკების აკრძალვის იდეას. ეს მიუღებელია. „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა ბლოკით დაამარცხა. ბლოკების აკრძალვას არ შევეგუებით. ჩვენი პარტიის თავმჯდომარემ კახა ძაგანიამ ბრიფინგზე განაცხადა, რომ თუ ეს მოხდა, ამ მუხლს საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრებთ. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს მოვიგებთ კიდეც.

ყოველთვის მოვითხოვდით მაჟორიტარული სისტემისა და გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმებას. უკეთესი იქნება, რომ პრეზიდენტი მომავალშიც ხალხმა აირჩიოს და ის არ იყოს ბუტაფორიული. პრეზიდენტი უნდა იყოს ყველასი. მას გარკვეული მისია უნდა ჰქონდეს.

***– პრეზიდენტმა ამ დღეებში პარტიებს გაერთიანებისაკენ მოუწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი იმედგაცრუებულ ხალხს ახალ არჩევანს შესთავაზებენ.***

– ამ განცხადებას თავისი გათვლა ჰქონდა. პრეზიდენტზე ამბობენ, რომ ის სათავეში ჩაუდგება რამდენიმე პარტიისგან შექმნილ გაერთიანებას. გიორგი მარგველაშვილმა ამით დაადასტურა, რომ ის აპირებს ახალი პოლიტიკური ცენტრის ლიდერობას. თუ პარტიები იდეოლოგიურად დაჯგუფდებიან, ეს ცუდი არ იქნება.

***– საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ თავისი გუნდის სახელით პრეზიდენტს სოლიდარობა და პარტნიორობა გამოუცხადა იმის გამო, რომ მას ბიძინა ივანიშვილი ვერ აკონტროლებს.***

– სოლიდარობა აქ არაფერ შუაშია. ერთმანეთის პარტნიორები ეს ადამიანები ყოველთვის იყვნენ. გიორგი მარგველაშვილი და გიგა ბოკერია დიდი ხანია, ერთად მოდიან. ორივე დაკავშირებულია სოროსის ორგანიზაციებთან. ნაციონალმა რომან გოცირიძემ ახლანდელ პრეზიდენტს ლამის დემოკრატიის შუქურა უწოდა. მისთვისაც და ბაქრაძისთვისაც სააკაშვილიც დემოკრატი იყო. ამ ხალხს არ სიამოვნებთ იმის გახსენება, რომ სააკაშვილის დროს პარლამენტი პრეზიდენტის ხელის დაქნევით იღებდა კანონებს, რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულებზე. სააკაშვილმა საკუთარ თავს

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ლორთქიფანიძე: „მარგველაშვილის ტონი არ მომეწონა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **დავით ლორთქიფანიძე** „ახალ თაობასთან“ პრეზიდენტ მარგველაშვილის პარლამენტში გამოსვლას აანალიზებს.

***– ბატონო დავით, პრეზიდენტის გამოსვლა მოგეწონათ?***

– პრეზიდენტს არ ჰქონდა ისეთი გამოსვლა, რაც უშუალოდ მის კომპეტენციას შეესაბამება. მას მეტი ყურადღება უნდა გაემახვილებინა, ალბათ, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საკითხებთან დაკავშირებით. მისი გამოსვლა აუდიტორიაზე იყო გათვლილი და არა იმაზე, რაც კანონმდებლობიდან გამომდინარე მისთვის უფრო რელევანტური უნდა ყოფილიყო.

***– პრეზიდენტის გამოსვლაში ყველაზე მეტად რომელი განცხადება იყო თქვენთვის მიუღებელი?***

– ჩემთვის, მაგალითად, მიუღებელი იყო განცხადების ის ტონი, როდესაც მან უმრავლესობას „შეახსენა“, რომ უმრავლესობა ჩაიკეტა თავის წრეში. ის პარლამენტზე ზედამხედველის ფუნქციით არ არის აღჭურვილი და ასეთი განცხადება საკონსტიტუციო უმრავლესობის მიმართ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ლამაზად არ ჟღერს.

კონსტიტუციით, პრეზიდენტი არ არის მთავრობის მეთაური. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, მთავრობას დაუძახოს, თავისთან შეკრიბოს, მოუსმინოს და დავალებები მისცეს. მით უმეტეს, ბატონი მარგველაშვილი პარლამენტს დავალებებს ვერ მისცემს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მისი უფლებამოსილების სფეროდან გასულია. ეს არ გაუკეთებია „ქართულ ოცნებას“, ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა. პრეზიდენტს უფლებამოსილებები ნაცმოძრაობამ ჩამოართვა.

***– პრეზიდენტის გამოსვლით ნაცმოძრაობა უკმაყოფილო დარჩა, მარგველაშვილმა რატომ არ გააკრიტიკა ბიძინა ივანიშვილი და მისი არაფორმალური მმართველობაო.***





– ეტყობა, პრეზიდენტი ვერ ხედავს არაფორმალურ მმართველობას, თორემ არა მგონია, თავი შეეკავებინა რაიმე შეფასებებისგან.

***– საკონსტიტუციო კომისიაში პრეზიდენტის წარმომადგენლები არ არიან. სამაგიეროდ, მარგველაშვილს პრეტენზია აქვს პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა თუ არა, პრემიერის თუ ყოფილი პრემიერის ნებასურვილზე დამოკიდებული არ უნდა იყოსო. ეს თქვენ როგორ გაიგეთ?***

– სიმართლე გითხრათ, პრეზიდენტის არჩევის წესი როგორი იქნება, დამოკიდებული უნდა იყოს ქართველი ხალხის ნებაზე. არსებული სახელმწიფო მოწყობის პირობებში პრეზიდენტის საერთო-სახალხო პირდაპირი წესით არჩევა არ არის მთლად რელევანტური. პრეზიდენტობის კანდიდატმა ამომრჩეველს უნდა შესთავაზოს მისი ხედვები. დღეს მე ვერ ვხედავ ისეთ საშუალებებს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი მოსახლეობას დაჰპირდეს რაღაცას, რასაც შემდეგ აღასრულებს. პრეზიდენტს აღსრულების მექანიზმი არ აქვს.

***– მოქალაქეების აზრი მომისმენია, რომლებიც ამბობენ, რომ ერთი პირდაპირი წესით არჩეული პირი ქვეყანაში უნდა არსებობდეს.***

– საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და ამ აზრის არსებობაც მისაღებია. თუმცა, არსებული კონსტიტუციის პირობებში პრეზიდენტს არ აქვს პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი.

***– პრეზიდენტს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში დადებითი როლის თამაში ხომ შეუძლია.***

– პოლიტიკა მხოლოდ საგარეო კუთხით მუშაობა არ არის.

***– ქვეყნის შიგნით, მთავარსარდალიც ხომ არის?***

– ღმერთმა არ დაგვაჭიროს და მთავარსარდალი მხოლოდ საომარი მოქმედებების გამოცხადების დროს არის საჭირო. როცა პრეზიდენტი მხოლოდ ომის დროს არის მთავარსარდალი და სხვა დროს არ არის ჩართული მუშაობაში, ომის შემთხვევაში გადაწყვეტილებები როგორ უნდა მიიღოს. თვეში ერთ ვეტოს გამოიყენებს, რომელსაც უმრავლესობა დაძლევს. ვეტო ვეტოსთვის არ უნდა იყოს.

ახლა პრეზიდენტი აცხადებს, რომ მოსმენების კანონზე მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციებს და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს სხვა სტატუსით. ის დამოკიდებულება, რაც არსებობს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის, არსებულმა კონსტიტუციამ წარმოშვა. სწორი ანალიზია საჭირო, რომ კონსტიტუცია იყოს ქმედუნარიანი და სტაბილური, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუციებს განვითარების საშუალებას მისცემს.

***– პრეზიდენტი პარლამენტში მისვლამდე ქუთაისის მოსახლეობას შეხვდა და უთხრა, თქვენს სურვილზეა დამოკიდებული, პარლამენტი ქუთაისში იქნება თუ თბილისშიო. თქვენ პარლამენტის წევრი იყავით, ქუთაისში პარლამენტი იმაზე ეფექტურად მუშაობდა, ვიდრე თბილისში?***

– რომელი ქუთაისელი იტყვის, პარლამენტი ქუთაისში არ უნდა იყოსო.

***– მაშინ ბათუმში გადავიტანოთ და ზღვის სანაპიროზე მაინც გაისეირნებენ დეპუტატები, თუ ასე სასიარულოდ სცალიათ.***

– მაგ აზრსაც აქვს არსებობის უფლება, ბათუმში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო და იქნება მეორე პოლიტიკური ცენტრი. მით უმეტეს, ავტონომიური რესპუბლიკაა. პარლამენტი არის ორ ლოკაციაში განთავსებული, ქუთაისში და თბილისში, რაც ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მილიონობით ლარზეა საუბარი.

# გიორგი ვაშაძე: „მივიღებთ „ქართულ ოცნებაზე“ მორგებულ კონსტიტუციას“

ნონა ცაბაძე



**გიორგი ვაშაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას აფასებს.

***– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას? ოპოზიციურმა პარტიებმა პროტესტის ნიშნად კომისიის დატოვება დაიწყეს.***

– სამწუხაროდ, ძალიან დახურულია ეს პროცესი. ერთადერთი, რაზეც არის მსჯელობა, ეს არის პრეზიდენტის არჩევითობა. მეორე თემაა ბლოკების თემა. სამწუხაროდ, სხვა ფუნდამენტურ ცვლილებებზე არ მიმდინარეობს მსჯელობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ 47 პუნქტისგან შემდგარი ცვლილებები გავუშვით საკონსტიტუციო კომისიაში, საკონსტიტუციო კომისიის ყველა წევრს გავუგზავნეთ ჩვენი წინადადებები.

ისინი შეეხებოდა სასამართლო სისტემაში ფუნდამენტურ რეფორმებს სამართალდამცავ ორგანოებში, განსაკუთრებით პროკურატურის სრულიად ახალ მოდელს ვთავაზობდით.

***– რამდენად იქნა გაზიარებული თქვენი შეხედულებები?***

– სამწუხაროდ, არანაირი პასუხი არ მიგვიღია ამასთან დაკავშირებით. უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით შევადგინეთ ეს პუნქტები, თუმცა მათ რეაქცია არ ჰქონიათ. პროცესი ძალიან დახურულია. საკონსტიტუციო ცვლილებებმა მიიღო იმის სახე, რომ უბრალოდ, რაც „ქართულ ოცნებას“ სურს, ის ცვლილებები შეიტანონ და სხვა არაფერი, რაც ძალიან ცუდია საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესისთვის. ასევე ძალიან ვწუხვარ იმაზეც, რომ ბევრი ექსპერტისგან, რომელიც მიწვეულია ამ კომისიაში, როგორც დამოუკიდებელი სპეციალისტი, კონსტიტუციონალისტი, ძალიან დაბალი აქტივობაა.

***– რატომ, არ ეძლევათ აქტიურობის საშუალება?***

– თავადაც არ ცდილობენ, რომ გახსნან ეს პროცესი. ეს ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება კონსტიტუციური ცვლილებების წესს, სტანდარტს და ჩარჩოს!

***– კომისია ხომ იმისთვის შეიქმნა, რომ ცვლილებები ყოფილიყო საჯარო და გამჭვირვალე, მაშინ რა აზრი აქვს კომისიის მუშაობას, თუ ფარულად შევა ცვლილებები?***

– მიზანი ცალსახაა, მათ უნდათ შეიტანონ ის ცვლილებები, რაც თვითონ სურთ, ეს არის და ეს! აქედან გამომდინარეობს ეს პრობლემა.

***– ანუ არ იზიარებთ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას, რომ ცუდი კონსტიტუციიდან ძალიან კარგ კონსტიტუციას მივიღებთ?***

– რა უნდა გავიზიაროთ?! რაც არ არსებობს, იმას ვერ გავიზიარებთ! დახურულ კარს მიღმა დაწერილი კონსტიტუცია ვერასდროს გახდება საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი!

***– საყოველთაო უნდა იყოს პრეზიდენტის არჩევის წესი?***

– ამაზე დავაც კი არ მიდის საზოგადოებაში. ამას კვლევებიც ადასტურებს, რომ საზოგადოება მომხრეა, შენარჩუნდეს პირდაპირ არჩევითობა პრეზიდენტის. მაგრამ მთავარი საკითხი აქ რა არის? ის, რომ ეს არ არის მთავარი საკითხი, რომელიც მოქალაქეებს აწუხებთ, ეს არ არის მთავარი განსახილველი საკითხი, რაზეც საკონსტიტუციო კომისია უნდა მუშაობდეს და რასაც უნდა იხილავდეს. გაცილებით მეტი პრობლემაა ქვეყანაში!

***– კერძოდ?***

– იგივე სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის ნდობა დღითიდღე ეცემა და ამასაც ასევე კვლევები ადასტურებს და აჩვენებს, რომ არ აქვს საზოგადოებას ნდობა სასამართლო ხელისუფლების. არ მიდის მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა შევქმნათ დამოუკიდებელი, პოლიტიკური ზეგავლენებისგან თავისუფალი სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები!

არ არის მსჯელობა იმაზე, რა პუნქტები და მუხლები უნდა იყოს გათვალისწინებული კონსტიტუციაში იმისთვის, რომ ეკონომიკურ ზრდას ხელი შეეწყოს და მეტი ინვესტიცია მოვიზიდოთ. ამ მნიშვნელოვან საკითხებზე არავინ მსჯელობს!

***– რისი თქმა გსურთ, რომ ცდილობენ, საზოგადოების ყურადღება სხვა თემებზე გადაიტანონ?***

– ზუსტად ასეა. მიმდინარეობს ყურადღების გადატანა მეორეხარისხოვან საკითხებზე, როგორიც არის პრეზიდენტის არჩევითობის წესი, რომელიც საზოგადოების განწყობების მიხედვით საერთოდ არ უნდა იხილებოდეს. პრეზიდენტი უნდა აირჩიოს ხალხმა.

***– ეს პირადი დაპირისპირებაა მარგველაშვილისადმი და მისი მიუღებლობა?***

– ასეთი საკითხები ჩვენ არაერთხელ გვინახავს. „ოცნება“ ცდილობს, ყველა საკითხში წინააღმდეგობა გაუწიოს პრეზიდენტს. სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ ახასიათებს პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება და შემდეგ უბრალოდ უკან აბრუნებს ხოლმე ამ ყველაფერს, როგორც ეს მოხდა ეროვნული ბანკის და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შემთხვევაში.

დღესაც იგივესთან გვაქვს საქმე. ამ შეუთავსებლობიდან გამომდინარე უნდათ, რომ დარტყმა მიაყენონ პრეზიდენტს, როგორც ინსტიტუტს.

***– საბოლოოდ როგორ კონსტიტუციას ელით?***

– კარგს ნამდვილად არაფერს ველი. პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენ მივიღებთ ალბათ უბრალოდ ცვლილებებს, რომლებიც იქნება კონკრეტულად მხოლოდ „ქართული ოცნების“ ინტერესებში და მათზე მორგებული!

## პაატა ჯიბლაძე: „ბლოკების აკრძალვას არ შევეგუებით“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მოარგო და იავარქმნა კონსტიტუცია.

***– „ქართულ ოცნებასაც“ აქვს პრობლემები.***

– რასაკვირველია. ხელისუფლებამ უნდა იფიქროს თანხმობის მიღწევაზე საზოგადოებასთან, პარტიების უმრავლესობასთან. საპარლამენტო არჩევნებზე მივიდა მოსახლეობის 49%. შესაბამისად, „ოცნებამ“ დაახლოებით 28%-იანი მხარდაჭერით მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა. არჩევნების დროსაც ბევრი უკმაყოფილო ადამიანი იყო. ასეთი ახლაც ბევრია. ხელისუფლება სირაქლემას პოზიციაში არ უნდა იყოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან მიმართებაშიც.

***– კერძოდ?***

– ამ უმწვავეს პრობლემებზე დიალოგია საჭირო. მაგალითად, პრეზიდენტი ცხინვალთან და სოხუმთან დაკავშირებით უბადრუკ განცხადებებს კი არ უნდა აკეთებდეს, არამედ, ოკუპანტთან საუბრობდეს. პარლამენტში გამოსვლისას გიორგი მარგველაშვილმა ისე ახსენა ოკუპაცია და ანექსია, თითქოს თვითონ ოპოზიციაში იყოს. დავით აღმაშენებელმა, საქართველოს რომ გაუჭირდა, ქვეყანაში ყივჩაღები ჩამოასახლა. ახლანდელი ხელისუფლების პირველი პირები პასუხისმგებლობის აღებას და რუსეთთან ქვეყნის პრობლემებზე დალაპარაკებას ვერ ბედავენ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# შალვა შავგულიძე: „თუ კომისიის დატოვება მოგვიწევს, ეს „ქართული ოცნების“ ბრალი იქნება“

ნათია ხურცილავა



თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო შალვა, პარლამენტის თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა, რომ პრეზიდენტი კონსულტაციებს მართავდა საკონსტიტუციო კომისიაში შემავალ პარტიებთან, არასამთავრობო სექტორთან, რომ მათ კომისია დატოვონ. ერთ-ერთმა პარტიამ უკვე დატოვა კომისია, თქვენთან რამდენად იყო მსგავსი კომუნიკაცია?***

– პრეზიდენტის მოწოდებები ოპოზიციური პარტიებისადმი თუ კიდევ სხვებისადმი, რომ საკონსტიტუციო კომისია დავტოვოთ, არ მსმენია. ჩვენ, თავისუფალ დემოკრატებს, საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს როგორც პრეზიდენტთან, ისე მის ადმინისტრაციასთან, მაგრამ ამგვარი მოწოდება თუ შემოთავაზება ნამდვილად არ მიგვიღია.

***– ბესელია აცხადებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არ გააკეთებდა განცხადებას, რომელსაც დასაყრდენი არ ექნებოდა.***

– მე უფრო ვფიქრობ, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ მხრიდან პრევენციული ხასიათის განცხადება. ისინი გრძნობენ, რომ თუ საკონსტიტუციო კომისიამ საბოლოო პროდუქტი მიიღო ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის საზიანო და ცვლილებები მოემსახურა მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის ვიწრო ინტერესებსა და ხელისუფლების სრულ უზურპაციას, მაშინ საკონსტიტუციო კომისიის ბევრი სუბიექტი პასუხისმგებლობას ნამდვილად არ გაიზიარებს და კომისიას დატოვებს.

თუ კომისიის დატოვება მოგვიწევს, ეს „ქართული ოცნების“ ბრალი იქნება, რაც სურს პრეზიდენტს გადააბრალონ. ჩვენ, თავისუფალმა დემოკრატებმა, როდესაც ამ კომისიაში გავწევრიანდით, იმავე დღეს გავაკეთეთ განცხადება, რომ თუ დავინახავდით, რომ ცვლილებები დემოკრატიისთვის დამაზიანებელი იქნებოდა, მაშინ კომისიას დავტოვებდით, რადგან შეუძლებელია, დამაზიანებელ შედეგზე ავიღოთ პასუხისმგებლობა.

***– კომისიის სხვა წევრ ოპოზიციურ პარტიებში განწყობა როგორია?***

– ეს განწყობა ჩანს და იგრძნობა კომისიის უმრავლეს სუბიექტებში, გარდა მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებისა, რომლებიც აბსოლუტური უმრავლესობით არიან წარმოდგენილები კომისიაში და ექსპერტთა გარკვეული ჯგუფისა, რომელთა პოზიციებიც კომისიის მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან აბსოლუტურ თანხვედრაშია მმართველი ძალის პოზიციებთან.

კომისიის დანარჩენი სუბიექტები, როგორც არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები, ისე საპარლამენტო პარტიები, ისე არასამთავრობო სექტორი, ასევე ექსპერტთა გარკვეული ნაწილი ძალიან კრიტიკულად არის განწყობილი იმ პოზიციის მიმართ, რომელსაც მმართველი პოლიტიკური ძალა გვთავაზობს კონსტიტუციური ცვლილებების სახით.

***– რა იქნება ის წყალგამყოფი, როდესაც დატოვებთ კომისიას?***



– ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენებთ კომისიაში ჩართულობის შედეგს, რათა მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ ის შემოთავაზებული ცვლილებები, რომელთა გატარებასაც „ქართული ოცნება“ აპირებს. თუმცა, თუ საბოლოოდ დავინახავთ, რომ ჩვენი მცდელობა ფუჭი იქნება და გაუმჯობესებას ვერ შევძლებთ, მაშინ გულისწუხილით ვამბობ, მაგრამ კომისიის დატოვება მოგვიწევს, რომ შედეგზე არ ავიღოთ პასუხისმგებლობა.

***– თქვენი ეს მკვეთრი ნაბიჯი კონკრეტულად რაზე იქნება დამოკიდებული?***

– ქვაკუთხედი იქნება საარჩევნო სისტემა, პრეზიდენტის არჩევის წესი და უფლებამოსილებები. თუ აქ არ იქნება დათმობა, მაშინ ჩვენ დავტოვებთ კომისიას. პრეზიდენტი უნდა იყოს არბიტრი, მაგრამ ძლიერი ფუნქციებით. პრეზიდენტის ეს ფუნქციები რეალურად მყარი უნდა იყოს.

დღეს ხელისუფლება გვთავაზობს, რომ პრეზიდენტის საყოველთაო არჩევის წესი შეიცვალოს პარლამენტის მიერ არჩევით, მაგრამ დათქმას აკეთებს, რომ ეს მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამართლიანი საარჩევნო სისტემით იქნება ახალი პარლამენტი არჩეული.

***– თანახმა ხართ ამ შემოთავაზებაზე?***

– ფიქრი შეიძლება ამ შემოთავაზებაზე, მაგრამ საარჩევნო სისტემას უსამართლოს გვთავაზობს. მაჟორიტარული სისტემიდან პროპორციულზე გადასვლას გვთავაზობს, მაგრამ დაუმსახურებელი მანდატები კვლავ ძალაში რჩება, საუბარია გაუნაწილებელ მანდატებზე, რომლებიც პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს.

ასევე საუბარია საარჩევნო ბლოკების აკრძალვაზე. ეს კომბინაცია აბსოლუტურ უპირატესობას აძლევს არჩევნებში მმართველ პოლიტიკურ ძალას.

ამ საპარლამენტო არჩევნებში გაუნაწილებელი დარჩა 16 თუ 17 მანდატი, დაახლოებით 20-21%. სრულ პროპორციულ სისტემაზე თუ გადავალთ, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება. ასევე თუ საარჩევნო ბლოკების შექმნა აიკრძალება, მაშინ მცირე პარტიები დამოუკიდებლად საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავენ. სწორედ ეს ხმებია გაუნაწილებელი მანდატები, რასაც მიითვისებს მმართველი ძალა. მცირე ოპოზიციური პარტიების საარჩევნო კამპანია მმართველი ძალისთვის ბეღელი იქნება ხმების შესაგროვებლად.

ასევე უამრავი ნიუანსია. მაგალითად, დღეს ჩვენ ვმუშაობთ ადამიანის უფლებების თავზე, ასევე სასამართლო სისტემაზე. ადამიანის უფლებების ნაწილში ბევრი არასასურველი ცვლილებაა, რომელთაც მმართველი ძალა გვთავაზობს.

***– მაგალითად?***

– პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. აქ შედის ასევე პერსონალური მონაცემების დაცვა, პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, დაცულობა. ამ სიკეთეების დაცვის სტანდარტი დაწეულია. ამას ვერ ვამართლებ, რადგან საუბარია მეტად ღირებულ სიკეთეებზე დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

ასევე გარემოს დაცვის საკითხები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები. ამ საკითხებთან კონსტიტუციური სტანდარტი ძალიან მცირდება, დაბლა იწევს.

***– რამდენად ასწრებს კომისია სამუშაოების დასრულებას? აპრილის ბოლო მალე მოვა.***

– კომისიაში შესაბამისი ჯგუფები მუშაობენ. საკითხების განხილვები მიმდინარეობს, მთელი კვირა მოგვიწევს მუშაობა, ალბათ ოთხშაბათი და ხუთშაბათიც გადაებმება. თუმცა, საბოლოოდ თუ ვერ დავინახეთ შედეგი და ეს ცვლილებები იქნება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის საზიანოდ მიმართული, მაშინ ასეთ შედეგზე პასუხისმგებლობას არ ავიღებთ.

# პრეზიდენტს 2023 წელს 300 დელეგატი აირჩევს. პარლამენტი ქუთაისში რჩება. მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავდივართ

გუშინ, 10 აპრილს, ცნობილი გახდა საკონსტიტუციო კომისიის მიერ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების მონახაზი.

გადაწყდა, რომ კონსტიტუციაში აღარ შეიცვლება პარლამენტის ადგილმდებარეობა და მისი ადგილსამყოფელი კვლავ იქნება ქუთაისი.

პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებული ცვლილებები ძალაში 2023 წლიდან შევა და არაპირდაპირი წესით 300 დელეგატი აირჩევს ქვეყნის პრეზიდენტს.

არჩევაში, პარლამენტის გარდა, ჩაერთვებიან ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები და აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები.

აღარ იქნება უშიშროების საბჭო და პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება, რომ წარადგინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

კიდევ ერთი ცვლილება ეხება საარჩევნო სისტემას. კერძოდ, მოხდება გადასვლა პროპორციულ სისტემაზე, თუმცა სადავო საკითხი არის ის, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს გამოთავისუფლებული მანდატები.

– კონსტიტუციის ტექსტის ძალიან დიდ ნაწილზე არის სრული შეთანხმება, არის მხოლოდ რამდენიმე ნაწილი, რომელზეც ჯერ კიდევ დისკუსიები გრძელდება, ტექსტის დიდი ნაწილი არის სრულიად შეთანხმებული და არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, – განაცხადა უმრავლესობის წევრმა თამარ ჩუგოშვილმა.

რაც შეეხება კონსტიტუციაში ჩანაწერს თავისუფლების აქტის შესახებ, ის კვლავ რჩება.

თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, თუ ხელისუფლებას მოუნდება გადასახადების გაზრდა, კვლავ უნდა ჩატარდეს ქვეყანაში რეფერენდუმი.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვას, ეს საკითხი აღარ ჩაიწერება კონსტიტუციაში და თუკი საჭირო გახდება, ის მხოლოდ ორგანული კანონით დარეგულირდება და შეიქმნება ახალი კანონი მიწის შესახებ.

* * *

გუშინვე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ სამუშაო ჯგუფის წევრებს აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.



– ჩვენ გვქონდა შეხვედრები ვენეციის კომისიის წევრებთან, ასევე კონსულტაციები მაღალი რანგის უცხოელ ექსპერტებთან და უკვე გამოიკვეთა, რომ მათი საერთო შეფასება ძალიან დადებითი და პოზიტიურია, რაც, ბუნებრივია, მისასალმებელია. მნიშვნელოვანია, რომ ეს კარგად დაწყებული პროცესი ბოლომდე კარგად მივიყვანოთ და ერთად შევქმნათ ისეთი დოკუმენტი, რომელიც იქნება სრულად დახვეწილი და კონსტიტუციური სამართლის პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კომისიის რიგ სუბიექტებთან გამართულ კონსულტაციებზე განცხადება გააკეთა და აღნიშნულ ინფორმაციას სამწუხარო უწოდა.

– მქონდა სარწმუნო ინფორმაცია იმაზე, რომ პრეზიდენტი ცალკეულ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მართავდა კონსულტაციებს მათ მიერ კომისიის დატოვებასთან დაკავშირებით. სამწუხაროა, რომ ეს ინფორმაცია მართლდება, – განაცხადა ბ-მა კობახიძემ.



მისი ინფორმაციით, რამდენიმე სუბიექტს განზრახული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილების გახმოვანება.

– თუმცა ეს ყველაფერი ხელს ვერ შეუშლის იმ სამუშაოს ბოლომდე მიყვანას, რომელიც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში დავიწყეთ. ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ ჩვენთვის დასახულ მიზანს, იმ მიზანს, რომელიც ჩვენ საქართველოს პარლამენტმა დაგვისახა. ამ მუშაობის საბოლოო შედეგი იქნება ძალიან დახვეწილი კონსტიტუციის შემუშავება, – დასძინა ირაკლი კობახიძემ.

* * *

უკიდურესად პოპულისტურს უწოდებს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების ამ ვარიანტს ნაციონალური მოძრაობის წევრი რომან გოცირიძე.

დეპუტატი ამბობს, რომ ძალიან ბევრ საკითხზე არის უთანხმოება მმართველი გუნდის ინიციატივებთან დაკავშირებით.

– ეს არის ძალიან სოციალისტური და პოპულისტური კონსტიტუცია, სადაც მეხუთე მუხლში წერია, რომ თურმე ეს არის სოციალური სახელმწიფო. 10 ლარი პენსია ვერ გაუციათ და რომელ სოციალურ სახელმწიფოზე საუბრობენ.

ჩადებულია უამრავი მავნე მუხლი, იგივე ის, რომ თურმე მთიანი ქვეყანა ვართ და ამ მხრივ შეღავათები არის საჭირო, რომელიც ნებისმიერ კანონში შეიძლება იყოს დარეგულირებული, ისევე, როგორც ქორწინების საკითხი. ყველა ამ საკითხის წამოწევა ემსახურება ქვეყანაში არაჯანსაღი დაპირისპირების გაღვივებას, რუსული ნარატივის დანერგვას, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

მაღალი თანამდებობის პირთა უფლებების მაქსიმალურ შეზღუდვაზე საუბრობს „ევროპული საქართველოს“ წევრი ირაკლი აბესაძე.

– საუბარია თვითმმართველი ქალაქის გაუქმებასა და პირდაპირი წესით არჩეული მერების შემცირებაზე და მეორე მხრივ, გვთავაზობს საპარლამენტო საარჩევნო სისტემის თვალსაზრისით პროპორციულ საარჩევნო სისტემას, თუმცა ისეთი მეთოდით, რომელიც ხელოვნურადაა მორგებული ხელისუფლების შენარჩუნებაზე, მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა შესაბამისი მხარდაჭერა „ქართულ ოცნებას“. ვგულისხმობ გაუნაწილებელი მანდატების მთლიანად მიკუთვნებას პირველ ადგილზე გასული პარტიისთვის.

ეს არის მცდელობა, ამომრჩევლის მხარდაჭერის გარეშე შეინარჩუნონ საპარლამენტო უმრავლესობა, – აღნიშნა ბ-მა აბესაძემ.

# ცხინვალმა პუტინის რჩეულს უარი უთხრა

## რა გახდა ანატოლი ბიბილოვის გამარჯვების რეალური მიზეზი

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალმა ვლადიმერ პუტინის ნება ბოლომდე არ გაითვალისწინა და პრეზიდენტად მისი ნებიერა არ აირჩია. მარტის ბოლოს რუსეთის პრეზიდენტმა ღია მხარდაჭერა გამოუცხადა ლეონიდ თიბილოვს.

ამის შემდეგ ცხინვალში უკვე ღიად განაცხადეს, რომ ის გახდებოდა პრეზიდენტი, მოსახლეობამ კი საპირისპირო არჩევანი გააკეთა. მან პრეზიდენტად ანატოლი ბიბილოვი აირჩია, რომელიც რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს კადრად ითვლება.

არჩევნების გარდა, ცხინვალში რეფერენდუმიც ჩატარდა, რომელიც რესპუბლიკისთვის სახელის შეცვლას ითვალისწინებდა. რესპუბლიკისთვის სახელის შეცვლის ინიციატივით პუტინის ნებიერა ლეონიდ თიბილოვი გამოვიდა. ცხინვალში ამბობდნენ, რომ ეს რეფერენდუმი მოსახლეობის გულის მოსაგებად გადადგმული მორიგი ნაბიჯი იყო.

ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ისტორიული სამაჩაბლოსთვის სახელის შეცვლას ზარზეიმით დაუჭირა მხარი, მისი ინიციატორი კი გაღიმებული დატოვა.

ადგილობრივი ცესკოს თავმჯდომარე ბელა პლიევას განცხადებით, სამხრეთ ოსეთისთვის სახელმწიფო ალანიის დარქმევას მხარი ამომრჩეველთა 78%-მა დაუჭირა. წინააღმდეგი კი 20% წავიდა.



რეფერენდუმის შედეგებისგან განსხვავებით, ცესკოს არჩევნების შედეგების გამოცხადება გაუჭირდა.

ეგზიტპოლების შედეგად თითქოს მეორე ტური იყო მოსალოდნელი, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად წარიმართა.

ბიბილოვის მხარდამჭერებმა ჯერ კიდევ 9 აპრილის ღამეს გააკეთეს განცხადება, რომ თუ ხელისუფლება არჩევნების შედეგებს მოიპარავდა, ისინი ქუჩაში გავიდოდნენ. ცესკოს შედეგები მხოლოდ გუშინ, 10 აპრილს, გამოაცხადა, რომლის თანახმადაც ანატოლი ბიბილოვმა, რომელიც აქამდე პარლამენტის თავმჯდომარე იყო, სერიოზული უპირატესობით მოუგო პუტინის ნებიერას.

ცესკოს მონაცემებით, ბიბილოვმა ამომრჩეველთა ხმების 57,98% მიიღო, ლეონიდ თიბილოვმა – 30%, მესამე კანდიდატ ალან გაგლოევს კი ხმა ამომრჩეველთა 11,01%-მა მისცა.

ბიბილოვმა საპრეზიდენტო არჩევნებში ბედი 2011 წელსაც სცადა. მაშინ ის ედუარდ კოკოითის პირდაპირ მემკვიდრედ იყო დასახელებული. მას მაშინაც სერგეი შოიგუ მფარველობდა. შოიგუს იმჟამად საგანგებო სიტუაციების მართვის მინისტრის პოსტი ეკავა.

2011 წლის არჩევნებში 2 ტურის ჩატარება გახდა საჭირო. ბიბილოვმა არჩევნები ალა ჯიოევასთან წააგო. ჯიოევა, ეტყობა, იმდენად მიუღებელი იყო კრემლისთვის, რომ ადგილობრივ უზენაეს სასამართლოს შედეგები გააუქმებინეს. საქმე კინაღამ სამოქალაქო ომამდე მივიდა. ბიბილოვმა მაშინ ოფიციალურად თქვა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე.

შემდეგ რუსეთმა საიდანღაც თიბილოვი ამოაძვრინა და ის გაიყვანა პრეზიდენტად.

ვლადიმერ პუტინმა ამჯერადაც მას გამოუცხადა მხარდაჭერა, მაგრამ ცხინვალში სხვანაირად გადაწყვიტეს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არჩევნების შედეგების გამოცხადება გაჭიანურდა, შედეგების კურთხევას მოსკოვიდან ელოდნენ.

მოსკოვმაც აღარ დააყოვნა. ოფიციალური განცხადება რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერ დიმიტრი პესკოვის პირით გაკეთდა.

– ჩვენ მივესალმებით ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს და აღვნიშნავთ, რომ ეს იყო დემოკრატიული და კონსტრუქციული პროცესი, რომელიც გამჭვირვალედ წარიმართა, – განაცხადა პესკოვმა.



პესკოვი კმაყოფილია იმით, რომ გამარჯვებული კანდიდატი რუსეთთან მჭიდრო კავშირს უჭერს მხარს. რამდენიმე წლის წინ პირველად სწორედ ბიბილოვმა მოითხოვა რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება. ამაზე უარი მოსკოვმა განაცხადა. მოგვიანებით ამავე ინიციატივით გამოვიდა თიბილოვიც. კრემლმა მასაც უარი უთხრა.

პესკოვის განცხადების შემდეგ დამარცხება ოფიციალურად აღიარა თიბილოვმა, რომელიც ჯერ ისევ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს.

– ეს იყო ხალხის არჩევანი. ჩვენ ამ გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ, – განაცხადა თიბილოვმა.

ხალხის არჩევანით განსაკუთრებული კმაყოფილება მაინც ბიბილოვს ეტყობოდა. რომელიც, როგორც თავად ამბობს, გამარჯვებაში დარწმუნებული იყო.

– ამ გამარჯვებისგან ეიფორია არ მაქვს. კარგად მესმის, თუ რამხელა პასუხისმგებლობა დამეკისრა, – ამბობს გამარჯვებული კანდიდატი.

რუსი ექსპერტი ნიკოლაი სილაევი დარწმუნებულია, რომ ბიბილოვი მჭიდროდ ითანამშრომლებს რუსეთთან. მისი აზრით, კანდიდატის გამარჯვების მთავარი მიზეზი სწორედ ეს ფაქტორი გახდა.

სილაევი იხსენებს რამდენიმე წლის წინ ცხინვალში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებსაც, რომელიც ბიბილოვის პარტია „ერთიანმა ოსეთმა" მოიგო.

– ბიბილოვის საარჩევნო დევიზი მაშინაც რუსეთთან ერთად ყოფნა იყო, – ამბობს ექსპერტი.

სილაევი დარწმუნებულია, რომ გამარჯვებული კანდიდატი საქმეს თავს გაართმევს და მისი პრეზიდენტობის დროს რესპუბლიკა უფრო დინამიურად განვითარდება.

47 წლის ბიბილოვი ცხინვალში დაიბადა და გაიზარდა. მას დამთავრებული აქვს თბილისის კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სამხედრო სასწავლებელი. სავარაუდოდ, სწორედ მაშინ ისწავლა ქართული. ოკუპირებული ახალგორის მოსახლეობას ის ყოველთვის ქართულ ენაზე ესაუბრებოდა.

ამის გამო ის კონკურენტებმა პროქართულობაშიც კი დაადანაშაულეს. არადა ის გაქანებული რუსეთუმეა და ისტორიული სამაჩაბლოს მომავალს რუსეთის შემადგენლობაში ხედავს, თბილისთან კი თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმების გაფორმება სურს.

# „პარლამენტის თავმჯდომარემ აღიარა, რომ პრეზიდენტს უსმენენ"

## კახა კუკავა: „სიკვდილის ბრიგადები „ქართულ ოცნებასაც" ჰყავს"

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის ირაკლი კობახიძე ქართული პარლამენტის სამარცხვინო დაღი, რა აღიარა მან თავისი განცხადებით, რაზე აპირებს ოპოზიცია დასავლელ პარტნიორებთან საუბარს, გადაიქცა თუ არა „ოცნება" ნაციონალურ მოძრაობად? – ამის შესახებ „ახალ თაობას" „თავისუფალი საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა ესაუბრება.

**კახა კუკავა:**

– პარლამენტის თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტთან მიმართებაში 10 აპრილს გაკეთებული განცხადება იყო სამარცხვინო. სულ მთხოვენ, ხელისუფლების წარმომადგენელთა მისამართით არაკორექტული შეფასებები არ გამოვიყენო, მაგრამ როგორ შეიძლება თავი შეიკავო, როცა პარლამენტის თავმჯდომარე კეკელა და მაროსავით საუბრობს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს რამდენიმე პარლამენტის თავმჯდომარე ჰყავდა. ზოგი მათგანი მოსაწონი იყო, ზოგი არა, მაგრამ ირაკლი კობახიძე არის განსაკუთრებული მოვლენა. ის პარლამენტის სამარცხვინო დაღია. სხვანაირად არანაირი ახსნა არა აქვს მის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე პრეზიდენტი მოუწოდებს ოპოზიციას, დატოვოს საკონსტიტუციო კომისია.

***– თუ მართლა მოუწოდებდა პრეზიდენტი ამისკენ ოპოზიციას?***

– გამორიცხულია. ჩვენ ვართ ინტერფრაქციულ ჯგუფში და ჩვენ თავად დავიწყეთ ერთმანეთში კონსულტაციები იმაზე, რომ უნდა მოხდეს ამ კომისიის ბოიკოტირება. პრეზიდენტი აქ რა შუაშია.

ვთქვათ და პრეზიდენტი ასეთ კონსულტაციებს მართლაც მართავდა და, როგორც ირაკლი კობახიძე ამბობს, მას ამაზე აქვს ოპერატიული ინფორმაცია, ამის გაჟღერება ხომ იმის პირდაპირი აღიარებაა, რაზეც მარგველაშვილი და ოპოზიცია საუბრობენ. კობახიძის განცხადება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ყველას ტოტალურად უსმენენ.

ასეთი სულელური განცხადება შევარდნაძის დროს შს მინისტრმა გააკეთა, როცა თქვა, პარლამენტიდან მაქვს ოპერატიული ინფორმაციაო. ამას მაშინ ხელისუფლებაშიც დიდი სკანდალი მოჰყვა. ის შს მინისტრი საბჭოთა დროს იყო გაზრდილი, მაგრამ ამ კობახიძეს ხომ 9 დიპლომი და დასავლური განათლება აქვს, რამ გადარია, როგორ გააკეთა ეს განცხადება.

ერთი უბედურება ისაა, რომ განცხადების შინაარსია სკანდალური, მეორე უბედურება კი ის გახლავთ, რომ დეკვალიფიკაციასთან გვაქვს საქმე. ამ განცხადების შემდეგ თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ქვეყნის მეორე პირის სკამზე შემთხვევითი ადამიანი ზის.

***– კობახიძის განცხადებაზე ხელისუფლებას დიდი რეაქცია არ აქვს. ეს რაზე მიუთითებს?***

– ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენთან ყველანაირი ეთიკური და სამართლებრივი პრინციპებია დარღვეული. წინა ხელისუფლების პირობებშიც კი პარლამენტის თავმჯდომარეს ასეთი სისულელე რომ ეთქვა, გაცილებით დიდი რეაქცია მოჰყვებოდა, აღარაფერს ვამბობ დემოკრატიულ ქვეყნებზე.

საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრი სულელი პოლიტიკოსი გვყავს და ბევრ სულელურ განცხადებასაც ვისმენთ, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარე ხომ არ არის შარახვეტია? მას ცოტა მეტი მოეთხოვება. სხვა თუ არაფერი, თავის სიტყვებს მაინც უნდა დაუფიქრდეს.

თუ მისი ნათქვამი პრეზიდენტზე ტყუილია, გამოდის, რომ ჭორიკანა სპიკერი გვყავს, თუ მისი ნათქვამი სიმართლეა, დიდ სკანდალთან გვაქვს საქმე – ქვეყნის პრეზიდენტს უსმენენ და უთვალთვალებენ. ასეთ ვითარებაში არც ერთი მოქალაქე არ არის დაცული.

***– თქვენი აზრით, ეს განცხადება კობახიძემ შეგნებულად გააკეთა თუ წამოსცდა?***

– ჩემი აზრით, ეს ადამიანი არ შეეფერება იმ თანამდებობას, რომელიც უკავია. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ის მარგველაშვილს ესხმის თავს. რამდენიმე კვირის წინ მან თქვა, რომ თუ მარგველაშვილი არ შეეშვება კრიტიკული განცხადებების გაკეთებას, პრეზიდენტის არჩევის წესს



გავაუქმებთო. ეს განცხადებები მიუღებელია, მაგრამ ეს კობახიძის ბრალი არ არის.

***– აბა ვისი ბრალია?***

– ბიძინა ივანიშვილის. ირაკლი კობახიძეს ვიცნობდი, რომელიც არის ჩვეულებრივი ბავშვი, რომელიც თავისუფლად შეიძლება დაინიშნოს რომელიმე გამგეობაში წამყვანი სპეციალისტის ადგილზე.

ასეთ ადამიანს პარლამენტის თავმჯდომარედ რომ ნიშნავ, მას, ბუნებრივია, შეეშლება რაღაც. განსაკუთრებით იმ თემებზე საუბრისას დაუშვებს შეცდომას, რაზეც შპარგალკა არ აქვს. ამ შპარგალკას ხელისუფლებაში მესიჯ-ბოქსს უწოდებენ, რომელთაც კოკა ყანდიაშვილი მინისტრებს და „ოცნების" ლიდერებს უგზავნის.

დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლი კობახიძე ასეთ განცხადებებს ისევ გააკეთებს და „ქართული ოცნება" კიდევ ჩავარდება უხერხულ მდგომარეობაში, მე ის მაწუხებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარედ შემთხვევით მოხვედრილი ბავშვი გვყავს.

***– არც ისეთი ბავშვია კობახიძე, დაახლოებით თქვენი ტოლია.***

– მთლად ჩემხელა არ არის და მეორე, გამოცდილება ასაკით არ იზომება. გერმანიის თავდაცვის მინისტრად რომ დამნიშნონ, ალბათ გამიჭირდება. ამ ქვეყნის არმიაზე არანაირი წარმოდგენა არა მაქვს. კობახიძე კი ისე დაინიშნა პარლამენტის თავმჯდომარედ, პოლიტიკაში არც კი ყოფილა.

***– პოლიტიკაში შეიძლება არ ყოფილა, მაგრამ პროფესიით იურისტია და ასეთ შეცდომებს, წესით, არ უნდა უშვებდეს.***

– რა მნიშვნელობა აქვს პროფესიას, პარლამენტის თავმჯდომარე არის ქვეყნის მეორე პირი. მისი განცხადებებიდან თუ ვიმსჯელებთ, არც კარგი იურისტი არ არის. მარტო იურისტის დიპლომის ქონა ბევრს არაფერს ნიშნავს.

***– ზემოთ თქვით, რომ კობახიძის განცხადება იმის აღიარებაა, რომ ყველას გვისმენენ. ოპოზიცია თუ აპირებს ამ განცხადებაზე რაიმე რეაგირების მოხდენას?***

– განცხადებები ყველამ გააკეთა, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვნად გელა ხვედელიძის ცემის ფაქტი მიმაჩნია. ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ ქვეყანაში ისევ არსებობენ სიკვდილის ბრიგადები.

სააკაშვილის დროს სიკვდილის ბრიგადებზე ვესაუბრებოდით ყველა უცხოელ სტუმარს. „თავისუფალ საქართველოში" ახლა ისეთივე საქაღალდის შექმნაზე ვმუშაობთ, როგორიც სააკაშვილის რეჟიმის დროს გვქონდა შექმნილი. ქვეყანაში უკვე დაგროვდა იმ ტიპის დარღვევები, რომლებსაც არ აქვთ გამონაკლისი ხასიათი.

ადრე იყო ასეთი დამოკიდებულება – ამ ხელისუფლებასაც აქვს ხარვეზი, მაგრამ ნაციონალებს ვერ შევადარებთ. ჩემთვის ხვედელიძის ცემის ფაქტი იყო ის წითელი მიჯნა, რომლის იქითაც ეს 2 რეჟიმი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.

წინა რეჟიმის დროს მე გახლდით ვალერი გელაშვილის ერთ-ერთი დამცველი საკონსტიტუციო სასამართლოში. კარგად ვიცი მისი საქმე და ხვედელიძის ამბავმა ეს ყველაფერი გამახსენა. ყველაფერი მეორდება. უბრალოდ, მაშინ სააკაშვილმა კოდუას უბრძანა გელაშვილისთვის ცხვირ-პირის დამტვრევა. ახლა ასეთი ბრძანება ივანიშვილმა გასცა. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან.

ხვედელიძე და გელაშვილი, ორივე მყარი აგებულების ხალხია, თორემ მსგავსი დაზიანებებით სხვა ადამიანი ცოცხალი არ გადარჩებოდა. საქართველოში დღეს ისევ გვყავს სიკვდილის ბრიგადები, არაფორმალური დაჯგუფებები, რომლებიც ხელისუფლების უკანონო ბრძანებებს ასრულებენ.

რაღაც დროის მანძილზე სააკაშვილის ხელისუფლებასაც იტანდა ხალხი და ამბობდა, რომ ცუდია, მაგრამ შევარდნაძეს მაინც სჯობია. ეს წლები ასე ვამბობდით ამ ხელისუფლებაზეც, მაგრამ ახლა დადგა დრო მასთან ღია დაპირისპირებისა.

„ქართული ოცნება" ნაციონალურ მოძრაობად გადაიქცა. თუ მათ დროს ზურაბ ჟვანია დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში, ამათ დროს ასეთივე გაურკვეველ ვითარებაში მოკვდა ეროსი კიწმარიშვილი. ხვედელიძის ამბავი კი გელაშვილის საქმის განმეორებაა. მოსმენების არსებობას ირაკლი კობახიძეც ადასტურებს.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით სერგეენკო: „600.000-მდე სოციალურად დაუცველი და მარტოხელა პენსიონერი 30-მდე დასახელების მედიკამენტს უფასოდ მიიღებს“

საქართველოში მცხოვრები 600.000-მდე ადამიანი, ძირითადად, სოციალურად დაუცველები და მარტოხელა პენსიონერები, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები, ენდოკრინოლოგიური დაავადებები და ბრონქიალური ასთმა აწუხებთ, 30-მდე დასახელების მედიკამენტს უფასოდ მიიღებენ, – ამის შესახებ შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ საყოველთაო ჯანდაცვის ახალი პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.




როგორც დავით სერგეენკომ განმარტა, საუბარია იმ მედიკამენტებზე, რომელიც ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს ხანგრძლივად, ან ცხოვრების ბოლომდე ესაჭიროებათ.

– ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის არის ამბულატორიულ მედიკამენტებზე წვდომა. საუბარია მედიკამენტებზე, რომლებიც ადამიანებმა ხანგრძლივად ან მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა მიიღონ სამედიცინო დაწესებულების გარეთ.

ძალიან მალე ამოქმედდება კიდევ ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს პირველ ეტაპზე, 4-5 ძირითადი ქრონიკული დაავადებების მედიკამენტების მიწოდებას. მათ შორის, საუბარია გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემების (მაღალი წნევა, გულის უკმარისობა, კორონარული სისხლძარღვების დაავადება), ენდოკრინოლოგიური დაავადებების (დიაბეტის მეორე ტიპი და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები) და ბრონქიალური ასთმისა და ფილტვების ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებებზე.

რაც შეეხება ბიუჯეტს, პირველ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ ეს იქნება 5 მილიონი ლარის ფარგლებში. პროგრამა განხორციელდება შემდეგნაირად: სახელმწიფო აცხადებს სახელმწიფო შესყიდვას; აწესებს ხარისხის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ სტანდარტს, რაც არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული ლაბორატორიის ხარისხის კონტროლის სერთიფიკატი ამა თუ იმ მედიკამენტებისთვის, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე განმარტებით, ლაბორატორიული კონტროლი პირველ ეტაპზე განხორციელდება უცხოურ ლაბორატორიებში გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მსგავსი ლაბორატორია არ არსებობს.

– გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი და პირობები იქნება თანაბარი, როგორც საქართველოს ფარმაცევტული კომპანიებისთვის, ასევე საერთაშორისო კომპანიებისთვის, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე თქმით, აქამდე თუ პენსიონერი თვეში 20-30 ლარის მედიკამენტების შესყიდვას საჭიროებდა, ახალი პროგრამის დანერგვის შემდეგ, მათ ეს სიმბოლური თანაგადახდით მაქსიმუმ, თვეში 1 ლარი დაუჯდებათ.

დავით სერგეენკომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მედიკამენტის კომპონენტის დამატებასთან დაკავშირებით ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციებისა და წამყვანი ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გამართა.

# ალეკო ელისაშვილი: „ყვავს კაკალი გააგდებინეო“ და ნარმანიას 3.000 ლარი გავაგდებინეთ




– „ყვავს კაკალი გააგდებინეო“, – ამ პრინციპიდან გამომდინარე, ნარმანიას 3 000 ლარიც გავაგდებინეთ. რა თქმა უნდა, ბიუჯეტში ამ ცვლილებას მხარს დავუჭერ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განუცხადა, რომელმაც კომენტარი გააკეთა თბილისის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ცვლილებით, თანხა თბილისის მერის სარეზერვო ფონდმა უნდა გამოყოს.

ალეკო ელისაშვილის თქმით, 3.000-ლარიან კომპენსაციას „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული 345 მოვაჭრე მიიღებს.

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე ბიუჯეტის ცვლილებას მხარს დავუჭერ. დაზარალებულებისთვის ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს თანხა. 3.000 ლარი ცოტაა. სულ მცირე 5.000 ლარი უნდა ყოფილიყო, რომ ამ ადამიანებს ერთი-ორი თვის განმავლობაში თავი მეტ-ნაკლებად გაეტანათ და იმ მძიმე დარტყმის შემდეგ მომავალი დაეგეგმათ. მაგრამ „ყვავს კაკალი გააგდებინეო“, – ამ პრინციპიდან გამომდინარე, ნარმანიას 3.000 ლარიც გავაგდებინეთ და ამ ცვლილებას, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერ, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

მისივე თქმით, ხანძრის შემდეგ ნარმანია აცხადებდა, რომ მომხდარში მერია არაფერ შუაში იყო და კომპენსაციებს არ გასცემდნენ. შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებდა, რომ დაზარალებულებს პრეზიდენტის ფონდისთვის უნდა მიემართა.

– ხომ ყოფილან შუაში?! თავიდანვე გააკეთე დალოცვილო. ან ამ ხალხს რაღას აწვალებდნენ, სიცივეში რომ აშიმშილეს? ხომ ყოფილა შესაძლებელი?! – განაცხადა ელისაშვილმა.

„ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულები 3000 ლარს უმოკლეს ვადაში მიიღებენ. როგორც თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე რიმა ბერაძემ განაცხადა, დღეს საკრებულოში ჩანიშნულ საგანგებო სხდომაზე დეპუტატები დაზარალებულთათვის ერთჯერადი დახმარების დროულად გაცემის მიზნით, 2017 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ შესაბამის ცვლილებებს განიხილავენ.

# მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველო ერთი პოზიციით დაწინაურდა



მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ინდექსში საქართველომ 136 ქვეყანას შორის 3,70 ქულით 70-ე ადგილი დაიკავა.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მიერ გამოქვეყნებულ წლევანდელ რეიტინგში წინა მონაცემებთან შედარებით, საქართველომ 1 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა.

2015 წლის ინდექსში საქართველო 3,68 ქულით 71-ე პოზიციაზე იყო, 2013 წლის ინდექსის თანახმად, საქართველო 4,10 ქულით 66-ე ადგილზე იმყოფებოდა, 2009 და 2011 წლის მონაცემების თანახმად კი 73-ე პოზიციაზე იყო.

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი დგება ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიც კონკრეტული ქვეყნის ტურიზმის სექტორში არსებული მდგომარეობა, უსაფრთხოება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, სოციალური უზრუნველყოფა, ბიზნესგარემო, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის ხარისხი და კულტურული და ბუნებრივი რესურსების ოდენობაა.

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა შემდეგ კრიტერიუმებში ბიზნესგარემო – 136 ქვეყანას შორის 22-ე ადგილი (5,26 ქულა), უსაფრთხოება – 29-ე პოზიცია (6,01 ქულა), ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიური მზაობა – 67-ე პოზიცია (4,45 ქულა), მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროს პრიორიტეტი – 41-ე პოზიცია (4,90 ქულა), გარემო მდგრადობა – 42-ე პოზიცია (4,42 ქულა), საჰაერო ტრანსპორტი – 90-ე

პოზიცია (2,20 ქულა), სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურა 63-ე პოზიცია (3,28 ქულა), ბუნებრივი რესურსები – 106-ე პოზიცია (2,39 ქულა) და კულტურული რესურსები – 81-ე პოზიცია (1,56 ქულა).

პოზიციები გაუარესდა შემდეგ კრიტერიუმებში: ჯანმრთელობა და ჰიგიენა – 36-ე ადგილი (6,10 ქულა), ადამიანური რესურსები – 51-ე პოზიცია (4,76 ქულა), საერთაშორისო გახსნილობა – 66-ე პოზიცია (3,13 ქულა), ტურისტთა მომსახურების ინფრასტრუქტურა – 70-ე პოზიცია (4,03 ქულა).

უცვლელი დარჩა ფასების კონკურენტუნარიანობა – 66-ე პოზიცია (4,90 ქულა).

ინდექსის თანახმად, საქართველო ევრაზიის რეგიონში მეორეა რუსეთის შემდეგ და უსწრებს აზერბაიჯანს, ყაზახეთს, სომხეთსა და უკრაინას.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსში პირველი ადგილი ესპანეთს ერგო, რომელსაც საფრანგეთი და გერმანია მოჰყვება. პირველ ათეულში ასევე არიან იაპონია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, შვეიცარია, ავსტრალია, იტალია და კანადა.

ინდექსის ბოლო პოზიციაზეა იემენი.

# ისრაელი თავშესაფრის განაცხადის შეტანისთანავე საქართველოს მოქალაქეებისთვის დეპორტაციის პროცედურას დაიწყებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს იმ ახალი რეგულაციის შესახებ აფრთხილებს, რომელიც ისრაელში 17 აპრილიდან ამოქმედდება.

საუბარია ისრაელის შს მინისტრის გადაწყვეტილებაზე თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებით. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ტაბატაძემ განაცხადა, ახალი რეგულაცია გულისხმობს, რომ თავშესაფრის იმ მაძიებლებს, რომელთა საკითხიც თავშესაფრის მიღების თაობაზე უარყოფითად გადაწყდება, აღარ მიეცემათ საშუალება, რომ ნებაყოფლობით დატოვონ ქვეყანა. როგორც ტაბატაძემ განმარტა, საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში თავშესაფრის მოთხოვნაზე ძირითად შემთხვევაში პასუხი უარყოფითი იქნება, რადგან ისრაელმა საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა და საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფრის მოთხოვნის საფუძველი არ გააჩნიათ.

– 17 აპრილიდან ისრაელი აამოქმედებს ახალ რეგულაციას, რომელიც მიიღო შს მინისტრმა. ჩვენი მოქალაქე როგორც კი შეიტანს განაცხადს თავშესაფრის მოთხოვნაზე, განხილვის პროცესში დაიწყება მათი დეპორტაციის პროცედურები. თუ ადრე მოქალაქეებს ეძლეოდათ საშუალება, განაცხადზე მიღებული უარყოფითი პასუხიდან ერთი კვირის განმავლობაში ნებაყოფლობით დაეტოვებინათ ქვეყანა და ამ საშუალებას არ იყენებდნენ, ახალი რეგულაციით, ასეთი განაცხადის შეტანისთანავე დაიწყება მათი დეპორტაციის პროცედურა.

ეს პროცედურა დასრულდება მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი მოქალაქე, ვინც შეიტანს 17 აპრილიდან მოთხოვნას თავშესაფართან დაკავშირებით, ვინაიდან მათი განცხადება არ იქნება დაკმაყოფილებული, მათი დეპორტაცია მოხდება მაქსიმუმ ერთ კვირაში.

ისრაელმა ჩვენ შეგვიყვანა უსაფრთხო ქვეყნების სიაში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენს მოქალაქეებს არ აქვთ საფუძველი, მოითხოვონ თავშესაფარი. შესაბამისად, არამიზნობრივი განაცხადების განხილვა ხდება. აქედან გამომდინარე, ისრაელის მხარემ მიიღო ეს გადაწყვეტილება, – განაცხადა ტაბატაძემ.

ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ისრაელში ჩასვლას აპირებენ, რეკომენდაციებს გასცემს. როგორც გიორგი ტაბატაძემ განაცხადა, დღესასწაულთან დაკავშირებით, ისრაელის სახელმწიფოში საზღვრის კვეთის პროცედურები კიდევ უფრო გამკაცრდება და ასევე მკაცრი და ხანგრძლივი იქნება შემოწმება.

– ეს პროცედურები კიდევ უფრო გამკაცრდება მოახლოებულ დღესასწაულებთან დაკავშირებით და კიდევ უფრო მკაცრი და ხანგრძლივი შემოწმების პროცედურა იქნება საზღვრებზე, შესაბამისად, ჩვენი თხოვნაა, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა გაითვალისწინონ ეს გარემოებები და მაქსიმალურად ზედმიწევნით დაიცვან ის მოთხოვნები, რაც მნიშვნელოვანია საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით. კერძოდ, მგზავრობის მიზნობრიობა, ფინანსური უზრუნველყოფა და მოთხოვნის შემთხვევაში მათ გარკვეული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარადგინონ თუ სად იცხოვრებენ, რა აქვთ გამიზნული, რამდენი ხანი უნდა დარჩნენ ქვეყანაში და აქვთ თუ არა უკან დასაბრუნებელი ბილეთები, – განაცხადა ტაბატაძემ.

მისივე თქმით, ქვეყანაში შესვლის შემდეგაც მომლოცველები უნდა დაემორჩილონ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც შესაძლოა, წაუყენონ სამართალდამცველებმა და იმ სასულიერო პირებმა, რომლებიც ტაძარში წესრიგს იცავენ.

– წერილობითი ინფორმაცია გავრცელდება ჩვენი სამინისტროს ვებგვერდზე. ჩვენი მოქალაქეები უნდა დაემორჩილონ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც შესაძლოა მათ მიმართ იქნას წაყენებული როგორც სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან, ასევე იმ სასულიერო პირებისგან, ვინც ემსახურება ტაძარში წესრიგის დამყარებას. ნებისმიერი შეპასუხება თუ უკმაყოფილება შესაძლოა აღიქვან გარკვეულ დარღვევად და ამას მოჰყვეს მყისიერი, ადეკვატური რეაქცია.

ზომები გამკაცრებულია, ჩასულია უამრავი სტუმარი და ყოველგვარი დაუმორჩილებლობა ან უკმაყოფილება, შესაძლოა გახდეს იმის მიზეზი, რომ მოქალაქეს მოუხდეს ტაძრის დატოვება, ან იმ ტერიტორიის დატოვება, სადაც იგი იმყოფება. თუკი ჩვენი მოქალაქე დაიკარგება, მან უნდა მიმართოს პოლიციას ან საელჩო საკონსულო სამსახურს. მნიშვნელოვანია, მოქალაქეებმა გაითვალისწინონ, რომ მოერიდონ ე.წ. ტაძარში შესასვლელი „ბრასლეტების“ შეძენას, ხშირია შემთხვევები, როდესაც იყიდება გაყალბებული, ე.წ. ბრასლეტები, – განაცხადა ტაბატაძემ.

# რეგიონული განვითარების საზოგადოების სასტიპენდიო ფონდის მიერ შერჩეული სტუდენტები ლიბერთი ბანკის სტიპენდიანტები გახდნენ

არასამთავრობო ორგანიზაცია რეგიონული განვითარების საზოგადოების სასტიპენდიო ფონდმა ორწლიანი საქმიანობის შედეგები წარადგინა.

სასტიპენდიო ფონდი 2015 წლიდან აფინანსებს რეგიონებში მცხოვრებ სწავლაზე ორიენტირებულ სტუდენტებს, რომლებმაც ჩააბარეს ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხნენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, თუმცა სოციალური პირობების გამო ვერ მოახერხეს სახელმწიფო გრანტის მოპოვება.

გორის, სამცხე ჯავახეთის, ა.წერეთლის (ქუთაისის) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფონდის მიერ დაფინანსებული 23 სტუდენტიდან 3 ლიბერთი ბანკის სტიპენდიანტია.

საღამოს ესწრებოდნენ უნივერსიტეტების წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები და ფონდის დონორები, რომლებმაც განათლების სფეროში ფონდის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ასევე საზეიმოდ გაფორმდა მემორანდუმი სასტიპენდიო ფონდს, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტსა და უნივერსიტეტებს შორის.

– ორი წლის მანძილზე ფონდმა შეძლო 23 სტიპენდიანტის დაფინანსება რეგიონის 4 უნივერსიტეტში. ჩვენ ვეხმარებით იმ სტუდენტებს, რომლებიც სახელმწიფო გრანტს მიღმა დარჩნენ და რეალურად, სხვა დაფინანსების წყარო არ გააჩნიათ. მადლობას ვუხდი ჩვენს დონორებს, ყველას, ვინც გვერდში გვიდგას და ვისთვისაც განათლების სფერო პრიორიტეტია, – განაცხადა რეგიონული განვითარების საზოგადოების სასტიპენდიო ფონდის თანადამფუძნებელმა, ნათია ბუკიამ.

– მოხარულები ვართ, რომ ჩვენი წვლილი შევიტანეთ სასტიპენდიო ფონდის ამ სასიკეთო საქმეში.



ლიბერთი ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის სწორედ განათლება, რადგან ვთვლით რომ, საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის პროფესიონალური ცოდნისა და უნარჩვევების მიღება, რომ თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს საკუთარი თავის მაქსიმალური რეალიზება და ფინანსური უზრუნველყოფა, – განაცხადა ლიბერთი ბანკის დირექტორმა, ალექსი ხოროშვილმა.

## ბუდაპეშტის ქუჩაზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს



70 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს ბუდაპეშტის ქუჩის 3 ნომერში მაშველებმა, რომლებიც შენობაში ხანძარს აქრობდნენ.

დაუდასტურებელი ინფორმაციაა, რომ მამაკაცი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი ხანძარი გააჩინეს. შემთხვევის ადგილზე გვიან ღამით ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

**ნიუპოსტი**

## სუიციდი გორში — 60 წლის ქალი მტკვარში გადახტა




60 წლის ქალმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში თავი მოიკლა. ,,ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ის მტკვარში გადახტა. გარდაცვლილის ოჯახი სუიციდის სავარაუდო მიზეზებზე არ საუბრობს. შემთხვევა 2 დღის წინ მოხდა. მომხდარს შსს თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით იძიებს.

**ნიუპოსტი**

## დაღუპული საქართველოს მოქალაქე და 6 დაშავებული — ავტოკატასტროფა თურქეთში



ავტოკატასტროფა მოხდა თურქეთში. ადგილობრივი მედიის ცნობით, ქალაქ რიზესთან სამგზავრო მიკროავტობუსი საპირისპიროდ მოძრავ ავტომობილს შეეჯახა, რის შედეგადაც საქართველო ერთი მოქალაქე დაიღუპა და 6 დაშავდა.

საქართველოს 6 დაშავებული მოქალაქე ამ დროისათვის ქალაქ რიზეს საუნივერსიტეტო კლინიკაშია გადაყვანილი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, გარდაცვლილი მოქალაქე საქართველოში უკვე გადმოასვენეს.

თურქული მედიის ცნობით, შეჯახების შედეგად სამგზავრო მიკროავტობუსს ცეცხლი მოეკიდა, რის გამოც ავტოკატასტროფის ადგილას სახანძრო სამსახურის მაშველები გამოიძახეს.

## 2016 წელს მართვის მოწმობა 95.960-მა მოქალაქემ აიღო




2016 წელს მართვის მოწმობა 95.960-მა მოქალაქემ აიღო. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის“ მიერ შსს-დან გამოთხოვილ სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული.

სტატისტიკის თანახმად, 2015 წელთან შედარებით 9.269-ით მეტი მართვის მოწმობა გაიცა.

კერძოდ, ოფიციალური მონაცემებით, 2015 წელს 86.691-მა მსურველმა აიღო მართვის მოწმობა.

ბოლო სამ წელიწადში ყველაზე მეტი მართვის მოწმობა 2014 წელს გაიცა. კერძოდ, შსს-ს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014 წელს შსს-ს მომსახურების სააგენტომ ავტომანქანის მართვის უფლება 130.403 მსურველს მიეცა.

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე სამგორის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ირაკლი ლაბაძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ირაკლი ლაბაძე ისრაელის მოქალაქეს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამსართულიანი სახლის აშენების ნებართვის გაცემაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოსთხოვა 20 000 აშშ დოლარის გადახდა.

ირაკლი ლაბაძემ ისრაელის მოქალაქეს წინასწარ გამოართვა ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 7500 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ირაკლი ლაბაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

## ირაკლი მამალაძის თქმით, მას სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან



ციანიდის საქმის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე ირწმუნება, რომ მას სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან. როგორც მან „ნიუპოსტს“ განუცხადა, დაახლოებით 6 დღის წინ, მისთვის უცნობი ნომრიდან დაუკავშირდნენ და დაემუქრნენ.

მამალაძე ამბობს, რომ საქმეს პროკურატურა იძიებს და მისი ინფორმაციით, ზარის ავტორი იდენტიფიცირებულია.

– ეს იყო სიცოცხლის მოსპობით დამუქრება: სანამდე გეყოლება დაცვა, იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა. პირდაპირ სიცოცხლის მოსპობის მუქარა რადგან იყო, მივმართე პროკურატურას და დაიწყო გამოძიება. ჩემი ინფორმაციით, იდენტიფიცირებულია ზარის ავტორი, – განაცხადა მამალაძემ.

მისი თქმით, ამ განცხადებას პრევენციის მიზნით აკეთებს.

– მინდა იცოდნენ ამ ადამიანებმა, რომ მოწმეზე ზეწოლა და მუქარა დასჯადი ქმედებაა. არც ერთი მოსამართლე არ დაუშვებს იმას, რომ ზეწოლა განხორციელდეს მოწმეზე, – დასძინა მან.

**ნიუპოსტი**

## 2016 წელს შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ იარაღის შეძენის ნებართვა 12400 პირზე გაიცა



2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ იარაღის შეძენის ნებართვა 12.400 პირზე გაიცა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის“ მიერ შსს-დან გამოთხოვილ სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული. ამასთან სტატისტიკის თანახმად, 2016 წელს იარაღის ან/და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდა 6.789 პირმა ჩააბარა.

ამასთან კანონმდებლობის თანახმად, თუკი იარაღის შემძენს უკვე ჩაბარებული აქვს შესაბამისი გამოცდები, ახალი იარაღის შეძენის ნებართვის აღებისას, მას აღარ უწევს ხელმეორედ იგივე ტიპის იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდის ჩაბარება.

იარაღის ან/და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდა 2015 წლიდან ბარდება. გამოცდა თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების; სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვის წესებისა და გამოცდა სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში ტარდება.

## სადახლოზე არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტში სომხეთისა და რუსეთის მოქალაქეებს არადეკლარირებული საქონელი – 5.200 ღერი სიგარეტი აღმოაჩნდათ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, სომხეთის მოქალაქეს ჩამოერთვა არადეკლარირებული საქონელი და დაეკისრა 1.000 ლარის გადახდა, ხოლო რუსეთის მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და დაჯარიმდა ასევე 1.000 ლარით.

– საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სომხეთის მოქალაქის, ა.დ-სა და რუსეთის მოქალაქის ე.პ-ს ავტომობილების ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული საქონელი, ჯამში 5.200 ღერი სიგარეტი გამოავლინეს. კანონდამრღვევ პირებს ბარგში აღმოაჩნდათ ასევე სხვა არადეკლარირებული საქონელიც – ალკოჰოლური სასმელები (კონიაკი 18 ლიტრი, ღვინო 24.75 ლიტრი), და კოსმეტიკური ლაქი (72 ც).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სომხეთის მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი და სანქციის სახით, შეეფარდა ფულადი ჯარიმა 1.000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეს, მას ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 1.000 ლარის ოდენობით, – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის ინფორმაციაში.

## გელა ხვედელიძის ინფორმაციით, იგი მუდმივად თვალთვალის ობიექტი იყო



შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე, რომელზეც რამდენიმე დღის წინ ფიზიკური თავდასხმა განხორციელდა, ამბობს, რომ მუდმივად თვალთვალის ობიექტი იყო.

როგორც ხვედელიძემ „რუსთავი2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, წლების განმავლობაში მასთან მიმართებით ოპერატიულ ღონისძიებებს ძირითადად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე იოსებ გოგაშვილი ახორციელებდა.

შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ თავდასხმის დეტალები გაიხსენა და გამოთქვა ვარაუდი, რომ მას ფიზიკურად მოჭიდავეები გაუსწორდნენ.

– იქიდან გამომდინარე, თუ როგორი შებოჭვა გააკეთა, ვფიქრობ, რომ მოჭიდავეა. პიროვნებები, რომლებიც ქალაქის ცენტრში ასეთ ღონისძიებას ახორციელებენ, მხოლოდ ორნი არ იქნებოდნენ, იქნებოდა კიდევ მინიმუმ ორი პიროვნება, რომლებიც მათ კოორდინირებას ახორციელებდა, – განაცხადა გელა ხვედელიძემ.

ხვედელიძის აზრით, მასზე თავდამსხმელებს „ჰყავთ მფარველები იმ სტრუქტურებში, რომელთაც გააჩნიათ ოპერატიული საშუალებები, რათა შეძლებისდაგვარად ოპერატიულად იმოქმედონ, რომ მათი ფაქტზე ან ცხელ კვალზე დაკავება არ მოხდეს“.

– მათ ჰქონდათ იმის გარანტია, რომ ამ აქციას ჩაატარებდნენ და ჩვეულებრივად მივიდოდნენ დანიშნულების ადგილზე, სადაც უნდა მისულიყვნენ, – აღნიშნა გელა ხვედელიძემ.

## დეკანოზმა გიორგი მამალაძემ შიმშილობა შეწყვიტა




დეკანოზმა გიორგი მამალაძემ შიმშილობა შეწყვიტა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, დეკანოზის მთავარი მოთხოვნა შესრულდა, მამა რევაზ სიხარულიძე მოინახულებს მას და აღსარებას ჩაიბარებს.

– ამ გადაწყვეტილებას ორი მიზეზი ჰქონდა. ერთი არის ის, რომ მამა გიორგის ძალიან კრიტიკული მდგომარეობა ჰქონდა, გადასხმები გაუკეთეს. მეორე კი ის არის, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს დღეს მამა რევაზ სიხარულიძე მოინახულებს, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

დეკანოზმა გიორგი მამალაძემ შიმშილობა გასულ კვირას, პატრიარქსა და სინოდის წევრებთან შეხვედრის მოთხოვნით დაიწყო.

## გალის რაიონის სოფელ სიდაში ცოლ-ქმარი მოკლეს




გალის რაიონის სოფელ სიდაში ცოლ-ქმარი მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, წურწუმიების ოჯახში თავდამსხმელები შეიჭრნენ, რომლებმაც ცოლ-ქმარს სანადირო თოფიდან ესროლეს. ისინი ადგილზე გარდაიცვალნენ.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, მოკლულ მამაკაცს გალში რამდენიმე დღის წინ უთანხმოება მოუვიდა და ადგილობრივები არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობა სწორედ ამ ფაქტს უკავშირდებოდეს. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია. ადგილზე ე.წ. „მილიცია“ მუშაობდა.

## ქობულეთში მამაკაცის ცხედარი იპოვეს




ქობულეთში მდინარე კინტრიშის სანაპიროზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს. როგორც გარდაცვლილის მეზობლები აცხადებენ, 41 წლის მამაკაცს ბოლო ერთ თვის განმავლობაში ეძებდნენ.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

**ნიუპოსტი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ეგვიპტეში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს



ქრისტიანული ტაძრის ამფეთქებლებს სასტიკად დავსჯით, აცხადებს ეგვიპტის პრეზიდენტი

კოპტები ეგვიპტის უძველესი მკვიდრები არიან. მათ მართლმადიდებლობა ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში მიიღეს.

ეგვიპტეში დღესაც ფუნქციონირებს ალექსანდრიის კოპტების მართლმადიდებლური ეკლესია. რაც შეეხება კოპტების ენას, მან დროის გამოცდას ვერ გაუძლო და მხოლოდ წირვა-ლოცვის ჟამს გამოიყენება.

თანამედროვე კოპტები, რომლებიც ეგვიპტის მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ, ძირითადად არაბულად ლაპარაკობენ. თუმცა მათ შეინარჩუნეს მართლმადიდებლური რწმენა, ჰყავთ თავიანთი პატრიარქი, აქვთ საკუთარი ეკლესიები და ა.შ.

ხელისუფლება კოპტებს არ დევნის, პირიქით, ყოველმხრივ ხელს უწყობს. სამაგიეროდ, ეგვიპტელი მართლმადიდებლები სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების სამიზნე სისტემატიურად ხდებიან.

გასულ კვირადღეს მომხდარმა ტერაქტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ტერაქტი ამჯერად ბზობის დღესასწაულზე კოპტების ტაძრებში მოხდა.

პირველი აფეთქება ქალაქ ტანტას (ალექსანდრიიდან 130 კმ) წმინდა გიორგის ეკლესიაში გაისმა.

ეგვიპტელი ძალოვნები ვარაუდობენ, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა საკურთხეველთან იყო ჩამონტაჟებული.

საშინელი აფეთქების შედეგად ტაძარში მყოფი 25 ადამიანი დაიღუპა, უამრავი დაშავდა. თუმცა ეს ერთადერთი ტერაქტი როდი იყო. მეორე აფეთქება თვით ალექსანდრიაში, წმინდა მარკოზის ეკლესიაში მოხდა. აღსანიშნავია, რომ იქ მაშინ თავად პატრიარქი წირავდა.

საბედნიეროდ, პატრიარქი არ დაშავებულა.

სულ ორივე ტერაქტის შედეგად 36 ადამიანია დაღუპული. ბევრი დაშავდა.



ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბზობაზე მომხდარ აფეთქებებს ვანდალიზმი უწოდა. ეგვიპტის პრეზიდენტმა სისიმ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ის სამ თვეს გასტანს. თავის ტელეგამოსვლაში სისიმ თქვა, რომ მათ, ვინც მართლმადიდებლურ ტაძრებში აფეთქებები მოაწყო, მუსლიმანობასთან საერთო არაფერი აქვთ.

— მუსლიმანები შემწყნარებლები არიან. მათთვის უცხოა აგრესიულობა და შეურიგებლობა! ტაძრის აფეთქება უდიდესი ცოდვაა. გაძლევთ სიტყვას, რომ ყველა, ვინც ეს ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინა, დაისჯება! — თქვა ეგვიპტის პრეზიდენტმა.

რომის პაპმა ეგვიპტის მართლმადიდებლურ ტაძრებში განხორციელებული ტერაქტები დაგმო. წირვისას პაპმა ხაზი გაუსვა, რომ უდიდესი ცოდვაა ამ ტერაქტების მუსლიმანებისთვის გადაბრალება.

— ისინი, ვინც ეს ტერაქტები ჩაიდინა, მუსლიმანები კი არა, სატანის მსახურნი იყვნენ! ჭეშმარიტი მუსლიმანები ჩვენთან ერთად გმობენ ამ ვანდალობას, — თქვა პაპმა.

# სტოკჰოლმი: ტერაქტში ეჭვმიტანილი მეორე პიროვნება დააკავეს



შვეციის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სტოკჰოლმის ტერაქტში ეჭვმიტანილი მეორე პიროვნება დააკავა.

შეტყობინებაში მისი ვინაობა არ არის დასახელებული. ნათქვამია მხოლოდ, რომ აღნიშნული პირი ისლამისტ-ექტრემისტებთან კონტაქტში შემჩნეული ადრეც იყო.

ახლა ის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

# ნორვეგიის პოლიციამ რუსეთის მოქალაქე დააპატიმრა



ნორვეგიის კონტრდაზვერვამ 17 წლის რუსეთის მოქალაქე დააპატიმრა. მას ბრალი ტერორიზმში ედება.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს მოქალაქე აფეთქებებს გეგმავდა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# ბარსელონაში რუსი ჰაკერი დააკავეს



ესპანეთის პოლიციამ რუსი ჰაკერი ლევაშოვი დააკავა. ის ბარსელონაში აიყვანეს.

ლევაშოვი ამერიკელების მოთხოვნით დააპატიმრეს. სავარაუდოდ, ის იმ ჰაკერულ შეტევებში მონაწილეობდა, რომლებიც რუსეთმა აშშ-ის პრეზიდენტის არჩევისას განახორციელა.

ამერიკულმა მხარემ ესპანელებს ამის დამამტკიცებელი საბუთები გადასცა.

თავად ლევაშოვი აცხადებს, რომ უდანაშაულოა და გაუგებრობის მსხვერპლი გახდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ტილერსონი პუტინს აღარ შეხვდება



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი მოსკოვში 12 აპრილს ჩავა. დაგეგმილია შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან.

ჟურნალისტებთან საუბარში ტილერსონმა განაცხადა:

— ჩემი მიზანია, რუსები დავარწმუნო, რომ ასადის მხარდაჭერას თავი დაანებონ!

ტილერსონმა აღნიშნა, რომ დაგეგმილი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან აღარ შედგება.

— არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ასადის შეჩერება ვერ შეძლო, თუმცა ეს მის პასუხისმგებლობას არ ამცირებს, — თვლის ტილერსონი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

*კალეიდოსკოპი*

# რითი გაუმასპინძლდა ტრამპი სი ცზინპინს

ახლახან ცნობილი გახდა იმ სადილის მენიუ, რომელიც აშშ-ში ჩინეთის თავმჯდომარის სი ცზინპინის ვიზიტის პატივსაცემად გაიმართა. სადილზე მიტანილი კერძების სია ჟურნალისტებმა გაავრცელეს.

მათი მონაცემებით, საზეიმო სადილზე 32 სტუმარი იყო მიწვეული. ძირითადი კერძი არჩევანის მიხედვით იყო სტეიკი „ნიუ-იორკი“ ან შამპანურში ჩაშუშული ქამბალა. გარნირად გათვალისწინებული იყო ორ ვარიანტად მომზადებული კარტოფილი და სხვადასხვა ბოსტნეული, სალათი „ცეზარი“. დესერტად გათვალისწინებული იყო შოკოლადის ტორტი ვანილის სოუსით ან სორბეტების სამეული.



ღვინოების ბარათში მითითებული იყო თეთრი მშრალი შარდონე და წითელი მშრალი კაბერნე-სოვინიონი. საზეიმო სადილი ადგილობრივი დროით 17:10 საათზე დაიწყო. აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და მისმა მეუღლემ მელანიამ სი ცზინპინსა და მის მეუღლეს პენ ლიუანს ფლორიდის შტატში მდებარე ქალაქგარე მამულში მარ-ა-ლაგოში უმასპინძლეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## განცხადება

**2017 წლის, 5 ივნისს, 12 საათზე, ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის.: ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25) გაიმართება შპს „სტარკ მეტალის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.**

**დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ალუმინის სხმულების წარმოება.**

**საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე!**

**ქ. წყალტუბო, სოფ. ფარცხანაყანები, კომპანიის ოფისი, ტელ: 557-801-991.**

**საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.**

**საკონტაქტო პირი — დავით მაყაშვილი, ტელ: 599-70-80-55.**

ადმინისტრაცია

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# თბილისის დინამომ ზედიზედ მესამედ მოიგო, ტორპედომ სამტრედიასთან რევანში აიღო



**დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 0:1**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

0:1 მიქელთაძე (90)

**დინამო ბთ:** ტიმოფეევი, სუხიაშვილი, გოგიტიძე, კვირკველია (მგელაძე 70), კენედი, თევდორაძე (შონია 46), თარხნიშვილი, ქავთარაძე, ფარტენაძე, კვასოვი (ფლამირიონი 64), ფონიავა

**დინამო თბ:** ლიტოვჩენკო, მიშენკო, სალუქვაძე, გველესიანი, ლოჩოშვილი, ქარდავა, კიტეიშვილი, ლობჟანიძე, მიქელთაძე (ქაფიანიძე 94), პაპუნაშვილი (ზარია 81), არაბული (ჩაკვეტაძე 59)

ჩელე არენაზე ლიდერთა შორის მყოფი გუნდების მატჩი გაიმართა და დედაქალაქელთა გამარჯვებით დასრულდა. საინტერესო და დაძაბული მატჩის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა.

თბილისელებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და დებიუტში ორი კუთხურიც ჩამოაწოდეს, ბექა მიქელთაძე ემუქრებოდა მასპინძელთა კარს, მაგრამ დარტყმა არ გამოდგა ძლიერი. ამის შემდეგ ბაჩანა არაბულიც ცდილობდა თამაშის გამწვავებას, თუმცა არაზუსტად დაარტყა. მე-16 წუთზე თბილისელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს – ბოგდან მიშენკომ სახიფათოდ ჩააწოდა, ბურთს კი ბოლო მომენტში ბაჩანა არაბული ვერ შეწვდა. კუთხურიდან ჩამოწოდებულს ლაშა სალუქვაძე გზავნიდა ანატოლი ტიმოფეევის კარში, ბათუმელთა გუნდი ხარიხამ იხსნა.

მომდევნო შეტევაში უკვე სერგეი ლიტოვჩენკომ იყოჩაღა, როდესაც გიორგი ქავთარაძის ახლოდან დარტყმული მოიგერია. მალევე ლიტოვჩენკომ უკვე თორნიკე თარხნიშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი გადააგდო კუთხურზე და პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა.

მეორე ტაიმი დედაქალაქელებმა სახიფათო მომენტით გახსნეს – გიორგი პაპუნაშვილის პასის შემდეგ ბათუმელთა კარში ბურთს საბა ლობჟანიძე გზავნიდა, მაგრამ ბოლო მომენტში მასპინძელთა მეკარემ იყოჩაღა. 10 წუთში უკვე თბილისელთა კარი იხსნა ლიტოვჩენკომ – თეიმურაზ შონიას ტექნიკური დარტყმის შემდეგ. 75-ე წუთზე გიორგი პაპუნაშვილმა ითამაშა კარგად, შეიჭრა საჯარიმოში, ცრუ მოძრაობით მცველიც ჩამოიტოვა და გამჭოლად დაარტყა, ბურთს სულ მცირედით საბა ლობჟანიძე ვერ შესწვდა და მასპინძელთა კარი ხიფათს გადარჩა.

დედაქალაქელებმა შეხვედრის 90-ე წუთზე მაინც მოახერხეს გოლის გატანა. ჩაკვეტაძემ მარცხენა ფრთაზე ლობჟანიძეს გააყოლა ბურთი, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და მიქელთაძეს გადააწოდა. ბექამ შანსი აღარ გაუშვა ხელიდან და დინამოს ზუსტი დარტყმით 3 ქულა მოუტანა.

**სამტრედია-ტორპედო 0:2**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

0:1 საბანაძე (33), 0:2 მახარობლიძე (80)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, სანდოხაძე, ახალაძე (სუხომლინოვი 61), კასრაძე, დათუნაიშვილი, მარკოზაშვილი, რაჟამაშვილი, ჩაგელიშვილი (ნინუა 75), ჯიქია (სამუშია 68), ბერიაშვილი

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, ხურცილავა, ადამაძე, გურული, ქიმაძე, გიგაური, მამასახლისი, დოლიძე (ტუღუში 69), მახარობლიძე, კუხიანიძე (ბაბუნაშვილი 77), საბანაძე (კაპანაძე 84)

ეს მატჩი იმით იყო საინტერესო, რომ ერთმანეთს ჩემპიონი და თასის მფლობელი ხვდებოდნენ. სეზონიც ამ გუნდებმა გახსნეს სუპერთასით და მაშინ სამტრედიელებმა იმარჯვეს.

ეროვნული ლიგაში ამ მატჩამდე ჩემპიონს 3 საშინაო თამაშიდან აქტივში ერთი ქულაღა ჰქონდა მითვლილი. ამდენივე, ოღონდ სტუმრად – თასის მფლობელს. ბუნებრივია, მეტოქეები ნავსის გატეხვას ლამობდნენ, მით უფრო, მოგებული საგრძნობლად იუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას

შეხვედრას წვიმიანმა ამინდი დაერთო, ციოდა კიდეც, თუმცა გუნდების საბრძოლო განწყობაზე ამ გარემოებას დიდად არ უმოქმედია. სტუმარ-მასპინძელი თავისას ეცადა, საბოლოოდ კი წარმატება იმას ხვდა, ვინც უკეთესად მომზადებული შეხვდა საპასუხისმგებლო თამაშს – ქუთაისელებმა 2 უპასუხო ბურთი გაიტანეს და პირველად იმარჯვეს გასვლაზე.

33-ე წუთზე გრიგოლ დოლიძემ ბურთი მარჯვნიდან საპირისპირო ფლანგზე გადაიტანა, სადაც ბიძინა მახარობლიძემ იყოჩაღა, ბოლომდე იბრძოლა მცველებთან და ბოლოს ზუსტი პასიც გაუკეთა ნიკა საბანაძეს, რომელმაც, მართალია ახლოდან, მარგამ საკმაოდ რთული მდგომარეობიდან, ზუსტად გაგზავნა ბურთი შორეულ დაბალ კუთხეში.

საბანაძემ და მახარობლიძემ მეორე ტაიმში როლები გაცვალეს: მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე სწრაფი კონტრშეტევისას საბანძემ პასი გაუკეთა მეტოქის საჯარიმოში შეჭრილ მახარობლიძეს, მანაც დარტყმა არ დაახანა და ბურთი ომარ მიგინეიშვილის კარის ბადეში აღმოჩნდა.

ტორპედოელებმა დინჯად შეინარჩუნეს მოპოვებული უპირატესობა, ეროვნული ლიგის მატჩში სუპერთასზე განცდილი მარცხისთვის სამტრედიასთან სრულყოფილი რევანში მისსავე მოედანზე აიღეს.

**ჩიხურა-საბურთალო 2:1**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

0:1 ცნობილაძე (48), 1:1, 1:2 ტატანაშვილი (54, 57)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, გეგეჭკორი (დეკანოიძე 52), სარდალიშვილი (განუგრავა 60), კორიფაძე, ტატანაშვილი (გელაშვილი 78), კაკუბავა, ივანიშვილი, დობროვოლსკი, ჭელიძე, კაშია, გორგიაშვილი

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, შინდაგორიძე, ხარაიშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, ვაგნერი (ბიძინაშვილი 65), იმნაძე (კოხრეიძე 60), არზიანი (ფიფია 71)

**გაძევება:** კაშია (90)

მატჩის პირველი ნახევარი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. ანგარიში მეორე ტაიმის სტარტზევე გაიხსნა: 48-ე წუთზე ვაგნერ გონსალვესის მოწოდებულ კუთხურს თავური დარტყმით დაჩი ცნობილაძე გამოეხმაურა და თბილისური გუნდი დააწინაურა.

გაშვებულმა გოლმა იმერლები უფრო გაააქტიურა და მათ სამწუთიან მონაკვეთში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებაც მოახერხეს. 54-ე წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა წონასწორობა აღადგინა, 57-ეზე კი გამოცდილმა ფორვარდმა დუბლი გაიფორმა და საკუთარ გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუპოვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-4 | 13 |
| 2.დინამო (თბ) | 6 | 4 | 0 | 2 | 7-4 | 12 |
| 3.ჩიხურა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 10 |
| 4.ტორპედო | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 5.დინამო (ბთ) | 6 | 3 | 0 | 3 | 5-4 | 9 |
| 6.საბურთალო | 6 | 3 | 0 | 3 | 6-8 | 9 |
| 7.კოლხეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-11 | 7 |
| 8.სამტრედია | 6 | 2 | 1 | 3 | 4-7 | 7 |
| 9.დილა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-5 | 6 |
| 10.შუქურა | 6 | 0 | 2 | 4 | 5-16 | 2 |



# 18 წლამდე ნაკრებმა კანადას გადაუარბინა

რაგბი ევროპის 18-წლამდელთა ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში ქართველებმა კანადელი თანატოლები 43:3 დაამარცხეს და ნახევარფინალში იაპონიას შეხვდებიან.

მას შემდეგ, რაც 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტ დივიზიონი 6 ერის წარმომადგენლებმა დატოვეს (2015 წლიდან, საფრანგეთის გარდა), რაგბი ევროპამ ტურნირის გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა და მასში კანადის, აშშ-სა და იაპონიის ნაკრებები ჩართო. შედეგად, ევროპის ჩემპიონატი ღია ტურნირად იქცა და ის ამ ფორმატით წელს პირველად ტარდება.

უმცროს ბორჯღალოსნებს ჩრდილოეთ ამერიკის წარმომადგენლებთან ამ ასაკში აქამდე არასდროს ერაგბათ და მოლოდინი შედარებით ფრთხილი იყო, მაგრამ გუნდი ამ გამოწვევისთვის მომზადებული აღმოჩნდა. სასიამოვნოა, რომ ეს გამარჯვება კარგი თამაშის შედეგად დადგა. ბევრი იშრომეს მორკინალებმა, სივრცეები შექმნეს და თანაგუნდელებს გარჯა უკანახაზელებმა დაუფასეს. დავით ჩავლეიშვილის შეგირდებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და საქმე პირველსავე ტაიმში მოამთავრეს. ქართველებმა მეტოქეს აჯობეს შერკინებაში, დერეფანში, მოლში, მიყოლაში, ინდივიდუალურად, ყველა ჯერზე ხერხდებოდა მანძილის მოგება, უპირატესობის შექმნა და რომ არა პატარ-პატარა შეცდომები, სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა.

ჩავლეიშვილის შეგირდების მორიგი მეტოქე იაპონიაა, რომელმაც ბელგიას 36:10 მოუგო. დანარჩენ ორ მატჩში პორტუგალიამ აშშ-ს 26:5, ხოლო საფრანგეთმა ესპანეთს 36:9 მოუგო.

## შედეგები

9 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-მანჩესტერი ............ 0:3
ევერტონი-ლესტერი ...................... 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 31 | 24 | 3 | 4 | 65-25 | 75 |
| 2.ტოტენჰემი | 31 | 20 | 8 | 3 | 64-22 | 68 |
| 3.ლივერპული | 32 | 18 | 9 | 5 | 68-40 | 63 |
| 4.სიტი | 31 | 18 | 7 | 6 | 60-35 | 61 |
| 5.მანჩესტერი | 30 | 15 | 12 | 3 | 46-24 | 57 |
| 6.არსენალი | 29 | 16 | 6 | 7 | 61-36 | 54 |
| 7.ევერტონი | 32 | 15 | 9 | 8 | 57-36 | 54 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 12 | 8 | 12 | 39-41 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 30 | 11 | 7 | 12 | 37-37 | 40 |
| 10.უოტფორდი | 31 | 10 | 7 | 14 | 36-52 | 37 |
| 11.ლესტერი | 31 | 10 | 6 | 15 | 39-51 | 36 |
| 12.ბარნლი | 32 | 10 | 6 | 16 | 32-44 | 36 |
| 13.სტოკი | 32 | 9 | 9 | 14 | 34-47 | 36 |
| 14.ვესტ ჰემი | 32 | 10 | 6 | 16 | 42-57 | 36 |
| 15.ბორნმუთი | 32 | 9 | 8 | 15 | 45-59 | 35 |
| 16.კრ.პალასი | 30 | 9 | 4 | 17 | 39-50 | 31 |
| 17.ჰალი | 32 | 8 | 6 | 18 | 33-64 | 30 |
| 18.სუონსი | 32 | 8 | 4 | 20 | 37-67 | 28 |
| 19.მიდლსბრო | 31 | 4 | 12 | 15 | 22-37 | 24 |
| 20.სანდერლენდი | 31 | 5 | 5 | 21 | 24-56 | 20 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ვალენსია ......................... 1:3
სელტა-ეიბარი ................................ 0:2
ოსასუნა-ლეგანესი ......................... 2:1
ლას პალმასი-ბეტისი ...................... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 30 | 22 | 6 | 2 | 79-31 | 72 |
| 2.ბარსელონა | 31 | 21 | 6 | 4 | 88-28 | 69 |
| 3.ატლეტიკო | 31 | 18 | 8 | 5 | 56-24 | 62 |
| 4.სევილია | 31 | 18 | 7 | 6 | 56-39 | 61 |
| 5.ვილიარეალი | 31 | 15 | 9 | 7 | 45-24 | 54 |
| 6.ეიბარი | 31 | 14 | 8 | 9 | 52-42 | 50 |
| 7.ბილბაო | 31 | 15 | 5 | 11 | 40-36 | 50 |
| 8.სოსიედადი | 30 | 15 | 4 | 11 | 43-41 | 49 |
| 9.ესპანიოლი | 31 | 12 | 10 | 9 | 43-42 | 46 |
| 10.სელტა | 30 | 12 | 5 | 13 | 45-51 | 41 |
| 11.ალავესი | 31 | 10 | 10 | 11 | 29-38 | 40 |
| 12.ვალენსია | 31 | 11 | 6 | 14 | 47-54 | 39 |
| 13.ლას პალმასი | 31 | 10 | 8 | 13 | 50-52 | 38 |
| 14.მალაგა | 31 | 8 | 9 | 14 | 36-47 | 33 |
| 15.ბეტისი | 31 | 8 | 7 | 16 | 33-51 | 31 |
| 16.დეპორტივო | 31 | 6 | 10 | 15 | 33-50 | 28 |
| 17.ლეგანესი | 31 | 6 | 9 | 16 | 26-48 | 27 |
| 18.ხიხონი | 30 | 5 | 7 | 18 | 31-58 | 22 |
| 19.გრანადა | 31 | 4 | 8 | 19 | 27-65 | 20 |
| 20.ოსასუნა | 31 | 3 | 8 | 20 | 32-70 | 17 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-კორდობა ............. 2:1
ელჩე-სევილია ბ ............................ 3:2
ნუმანსია-ხირონა .......................... 0:2
რეუსი-უესკა .................................. 0:1
ოვიედო-მურსია ............................ 2:0
ალმერია-სარაგოსა ....................... 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰერტა-აუგსბურგი ......................... 2:0
ინგოლშტადი-დარმშტადი ............ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 21 | 5 | 2 | 71-15 | 68 |
| 2.ლაიპციგი | 28 | 18 | 4 | 6 | 51-30 | 58 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 28 | 13 | 12 | 3 | 51-28 | 51 |
| 4.დორტმუნდი | 28 | 14 | 8 | 6 | 59-32 | 50 |
| 5.ჰერტა | 28 | 13 | 4 | 11 | 37-34 | 43 |
| 6.ფრაიბურგი | 28 | 12 | 5 | 11 | 36-47 | 41 |
| 7.კიოლნი | 28 | 10 | 10 | 8 | 41-34 | 40 |
| 8.გლადბახი | 28 | 11 | 6 | 11 | 34-36 | 39 |
| 9.აინტრახტი | 28 | 10 | 8 | 10 | 28-30 | 38 |
| 10.შალკე | 28 | 10 | 7 | 11 | 37-32 | 37 |
| 11.ვერდერი | 28 | 10 | 6 | 12 | 44-48 | 36 |
| 12.ლევერკუზენი | 28 | 10 | 5 | 13 | 42-44 | 35 |
| 13.ჰამბურგი | 28 | 9 | 6 | 13 | 28-51 | 33 |
| 14.ვოლფსბურგი | 28 | 8 | 6 | 14 | 27-42 | 30 |
| 15.მაინცი | 28 | 8 | 5 | 15 | 36-47 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 28 | 7 | 8 | 13 | 26-45 | 29 |
| 17.ინგოლშტადტი | 28 | 8 | 4 | 16 | 31-47 | 28 |
| 18.დარმშტადტი | 28 | 4 | 3 | 21 | 19-56 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-კარლსრუე ............... 2:0
დიუსელდორფი-უნიონი ............... 2:2
აუე-მიუნხენი 1860 ........................ 3:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ფიორენტინა .............. 2:2
უდინეზე-ჯენოა .............................. 3:0
კროტონე-ინტერი .......................... 2:1
მილანი-პალერმო .......................... 4:0
ბოლონია-რომა .............................. 0:3
კალიარი-ტორინო .......................... 2:3
ლაციო-ნაპოლი ............................ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 25 | 2 | 4 | 62-20 | 77 |
| 2.რომა | 31 | 23 | 2 | 6 | 69-26 | 71 |
| 3.ნაპოლი | 31 | 20 | 7 | 4 | 72-33 | 67 |
| 4.ლაციო | 31 | 18 | 6 | 7 | 52-34 | 60 |
| 5.ატალანტა | 31 | 18 | 5 | 8 | 52-34 | 59 |
| 6.მილანი | 31 | 17 | 6 | 8 | 47-33 | 57 |
| 7.ინტერი | 31 | 17 | 4 | 10 | 57-35 | 55 |
| 8.ფიორენტინა | 31 | 14 | 10 | 7 | 49-39 | 52 |
| 9.სამპდორია | 31 | 12 | 9 | 10 | 39-37 | 45 |
| 10.ტორინო | 31 | 11 | 11 | 9 | 59-52 | 44 |
| 11.უდინეზე | 31 | 11 | 7 | 13 | 41-40 | 40 |
| 12.კიევო | 31 | 11 | 5 | 15 | 35-45 | 38 |
| 13.კალიარი | 31 | 10 | 5 | 16 | 41-62 | 35 |
| 14.ბოლონია | 31 | 9 | 7 | 15 | 29-46 | 34 |
| 15.სასუოლო | 31 | 9 | 5 | 17 | 38-49 | 32 |
| 16.ჯენოა | 31 | 7 | 8 | 16 | 30-51 | 29 |
| 17.ემპოლი | 31 | 5 | 8 | 18 | 18-49 | 23 |
| 18.კროტონე | 31 | 5 | 5 | 21 | 25-51 | 20 |
| 19.პალერმო | 31 | 3 | 6 | 22 | 25-67 | 15 |
| 20.პესკარა | 31 | 2 | 8 | 21 | 31-68 | 14 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-სპალი ................................... 1:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტულუზა-მარსელი ........................... 0:0
სტ.ეტიენი-ნანტი ............................ 1:1
პსჟ-გენგამი .................................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 31 | 23 | 5 | 3 | 88-26 | 74 |
| 2.პსჟ | 31 | 22 | 5 | 4 | 64-21 | 71 |
| 3.ნიცა | 32 | 20 | 10 | 2 | 52-26 | 70 |
| 4.ლიონი | 32 | 17 | 3 | 12 | 65-39 | 54 |
| 5.ბორდო | 32 | 13 | 10 | 9 | 46-39 | 49 |
| 6.მარსელი | 32 | 13 | 9 | 10 | 44-38 | 48 |
| 7.სტ.ეტიენი | 31 | 11 | 12 | 8 | 35-25 | 45 |
| 8.ნანტი | 32 | 11 | 9 | 12 | 31-46 | 42 |
| 9.ტულუზა | 32 | 10 | 11 | 11 | 33-33 | 41 |
| 10.გენგამი | 32 | 11 | 8 | 13 | 38-43 | 41 |
| 11.რენი | 32 | 9 | 13 | 10 | 29-37 | 40 |
| 12.ანჟე | 32 | 11 | 6 | 15 | 32-41 | 39 |
| 13.ლილი | 32 | 10 | 7 | 15 | 31-39 | 37 |
| 14.მონპელიე | 32 | 9 | 9 | 14 | 45-55 | 36 |
| 15.მეცი | 31 | 9 | 8 | 14 | 29-59 | 35 |
| 16.კაენი | 32 | 9 | 5 | 18 | 31-54 | 32 |
| 17.ნანსი | 32 | 8 | 7 | 17 | 24-41 | 31 |
| 18.ლორიანი | 32 | 9 | 4 | 19 | 37-62 | 31 |
| 19.დიჟონი | 32 | 6 | 11 | 15 | 40-50 | 29 |
| 20.ბასტია | 32 | 6 | 10 | 16 | 26-46 | 28 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ალკმაარი-როდა ............................. 1:1
ზვოლე-ფეინოორდი ....................... 2:2
უტრეხტი-ტვენტე ........................... 3:0
პსვ-ტილბურგი ............................... 5:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-სეტუბალი ......................... 0:0
ეშტორილი-ნასიონალი ................. 0:1
გიმარაეში-ტონდელა ..................... 2:1
მორეირენშე-ბენფიკა ..................... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-როსტოვი ............... 0:0
უფა-სპარტაკი .................................. 1:3
კრასნოდარი-ცსკა .......................... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-რეინჯერსი ..................... 0:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-ლუცერნი .......................... 0:2
ლუგანო-სიონი ................................ 4:2
ბაზელი-იანგ ბოიზი ........................ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-შტურმი ...................... 1:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

**პლეი ოფი (ჩლ)**

ანდერლეხტი-გენტი ...................... 0:0
პლეი ოფი .................................... (ელ)
მეხელენი-ლიერსი ......................... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-კერკირა ................................. 5:0
ასტერასი-ქსანთი .......................... 0:0
ატრომიტოსი-ლარისა .................... 0:0
ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი ......... 1:1
პანეთოლიკოსი-ვერია ................... 1:0
პანიონიოსი-პლატანიასი .............. 1:1
პაოკი-პანათინაიკოსი ................... 3:0
იანინა-ირაკლისი ........................... 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ოსმანლი .......................... 1:4
ადანა-რიზე ..................................... 1:3
ფენერბახჩე-აკჰისარი .................... 3:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

იაბლონეცი-ზლინი 2:0
სპარტა-ბრნო 3:2

**პოლონეთი.**

**ექსტრაკლასი**

პიასტი-ლეხია ................................. 1:1
ლეხი-ლეგია .................................. 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-ზორია ................... 0:0
შახტარი-ჩერნომორეცი ................ 1:2
დინამო-ოლიმპიკი ......................... 4:0

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

მიდტიულანდი-სონდერიისკე ........ 3:1
ლუნგბიუ-ბრონდბიუ .................... 1:2
კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი ........ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-კალმარი .......................... 1:1
ესტერსუნდი-ნორჩიოპინგი ........... 1:0
სედრა-ჰალმშტადი ........................ 2:2
სირიუსი-გიოტებორგი ................... 0:2
ჰაკენი-დიურგარდენი ................... 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-სანდერფიორდი .......... 1:2
ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი ......... 0:2
სარპსბორგი-ვიკინგი .................... 3:0
სტაბეკი-ოდ გრელანდი ................. 2:0
ტრომსო-სონგდალი ....................... 3:0
სტრომგოდსეტი-ალესუნდი .......... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს ჰაიმორიტს და ფრონტიტს

*ეკა ირემაშვილი*

ფრონტიტი შუბლის წიაღის ლორწოვანი გარსის ანთებაა. იგი შეიძლება იყოს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული. მწვავე ფრონტიტი ხშირად ვითარდება გრიპის, რინიტის ან წითელას დროს. დაავადების დროს მკვეთრია ტკივილი თვალებსა და შუბლის არეში, ხშირია ცრემლდენა, ცხვირიდან სუნთქვის გაძნელება, უხვი გამონადენი, განსაკუთრებით იმ ნესტოდან, შუბლის წიაღის რომელ მხარესაცაა ანთებითი პროცესი, წიაღის დაცლის შემდეგ კი თავის ტკივილი კლებულობს.

მწვავე გრიპოზული ფრონტიტის დროს სხეულის ტემპერატურა მომატებულია, აღინიშნება შესიება და შეშუპება შუბლის არეში და ზედა ქუთუთოს მიდამოში. ქრონიკული ფრონტიტის დროს ადგილი აქვს მოჭერითი ხასიათის თავის ტკივილს. ფრონტიტის შემთხვევაში ექიმები გვირჩევენ, დროულად მივაკითხოთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს.



ბერდია ბერიძე

ჰაიმორიტი ზედა ყბის წიაღის ლორწოვანი გარსის ანთებაა და გამოწვეულია გარსში მიკროორგანიზმების გავრცელებით. ინფექციის გავრცელების გზების გათვალისწინებით ზედა ყბის წიაღის ანთება რამდენიმე სახის არსებობს – ოდონტოგენური, რინოგენული, ჰემატოგენური, ტრავმული და ალერგიული. ჰაიმორიტის მთავარი მიზეზი ინფექციაა. ჰაიმორიტის განვითარებას ხელს უწყობს ყველა ის მდგომარეობა, რომელიც ცხვირით სუნთქვას არღვევს, ბაქტერიამატარებლობა ან ცხვირის ღრუს ანატომიური სტრუქტურების თანდაყოლილი დარღვევები. ჰაიმორიტისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია უსიამოვნო შეგრძნება ცხვირსა და მის ახლოს მდებარე უბნებში, რომელიც თანდათანობით ძლიერდება, სუნთქვის გაძნელება, გამონადენი, ტემპერატურის მატება, საერთო სისუსტე.

რა იწვევს ჰაიმორიტს და ფრონტიტს, რა ნიშნები ახასიათებს მათ ქრონიკულ ფორმებს, რა სიმპტომები აქვთ და როგორია მკურნალობის მეთოდები, ოტო-რინო-ლარინგოლოგი ბერდია ბერიძე საუბრობს.

**ბერდია ბერიძე:**

– მწვავე ჰაიმორიტი და ფრონტიტი ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციის გართულებაა.

***– რა ნიშნები ახასიათებს ქრონიკულ ჰაიმორიტსა და ფრონტიტს?***

– სინუსიტის არასწორი მკურნალობის შემთხვევაში, ვითარდება ჰაიმორიტისა და ფრონტიტის ქრონიკული ფორმა. ქრონიკული ჰაიმორიტის და სინუსიტის ფორმირებას ხელს უწყობს ასევე ცხვირის ძგიდის გამრუდების არსებობა და ცხვირის ღრუს პოლიპოზი.

***– რა სიმპტომებით შეიძლება ამოვიცნოთ ჰაიმორიტი და ფრონტიტი?***

– წელიწადში სამი ან მეტი გამწვავების ეპიზოდი, მუდმივი დისკომფორტი შუბლისა და ზედა ყბის წიაღების საპროექციო მიდამოში, რომელიც განსაკუთრებით მძაფრდება მწვავე სურდოს დროს.

***– როგორია ამ დაავადებების მკურნალობის მეთოდები?***

– მწვავე სინუსიტის მკურნალობა მედიკამენტოზური, ხოლო ქრონიკულის კი ქირურგიული გზითაა შესაძლებელი.

*კალეიდოსკოპი*

## ლინდსი ლოჰანი პლაჟზე ბურკინიში გამოწყობილი გამოჩნდა



ჰოლივუდის მსახიობი ლინდსი ლოჰანი ტაილანდის კუნძულ პხუკეთის პლაჟზე ტრადიციულ მუსლიმანურ საცურაო კოსტიუმ ბურკინიში გამოწყობილი გამოჩნდა.

30 წლის კინოვარსკვლავს ეცვა გრძელმკლავიანი ტუნიკი და შარვალი, თავზე შავი კაპიუშონი ეხურა. ბლოგერმა ბელა ვიტამ ტვიტერში ვარაუდი გამოთქვა, რომ ბურკინი იმ ტანსაცმლის ბრენდის კოლექციის ნაწილია, რომლის შექმნის თაობაზე ლოჰანმა მიმდინარე წლის მარტში განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ მსახიობი ტაილანდში დასასვენებლად არის ჩასული და იქ მეგობრებთან ერთად იმყოფება. ლოჰანმა ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა დასვენების დროს გადაღებული სურათები, რომელთა შორის ისეთებიცაა, რომლებშიც ის ჩვეულებრივ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილია აღბეჭდილი.

მსახიობი ისლამურმა კულტურამ 2017 წელს გაიტაცა. მარტში მან ინსტაგრამში გამოაქვეყნა საკუთარი ფოტოსურათი, რომელშიც ჰიჯაბი აცვია, ხოლო კომენტარში აღნიშნა, რომ მალე გამოუშვებს ტანსაცმლის საკუთარ ხაზს, რომელშიც ასეთი თავსაბურავებიც შევა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ ტელეშოუში მონაწილეობის დროს ლინდსიმ განაცხადა, რომ ყურანის შესწავლით არის დაკავებული, თუმცა უარი თქვა ეღიარებინა, რომ აღმსარებლობა შეიცვალა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## დაკარგული კატა სახლში დაბრუნდა



ამერიკის ქალაქ ვანაკიუში, ნიუ-ჯერსის შტატში, იპოვეს კატა, რომელიც ორ წელიწადზე მეტი ხნის წინ დაიკარგა.

დაკარგული კატა მისი ადრინდელი საცხოვრებლიდან 15 კილომეტრში თოვლიანი ქარიშხლის შემდეგ იპოვეს. ადგილობრივი ცხოველთა თავშესაფრის მიერ ფეისბუქში გამოქვეყნებული კატი ფოტოსურათები მისმა პატრონმა ნახა. რათა დარწმუნებულიყო, რომ ის მართლაც მისი კატა იყო, თავშესაფარში ცხოველის საყვარელი სათამაშოთი მივიდა.

ქალმა ადგილობრივი გამოცემის ჟურნალისტს განუცხადა, რომ მან კატას სახელით მიმართა: „ჯიმი, ეს შენ ხარ, მეგობარო?" „ის მაშინვე მოვიდა ჩემთან, ჩამეხუტა და ცხვირი სათამაშოს მიადო". ქალის ცხოველთა თავშესაფარში ვიზიტი კატის სახლში დაბრუნებით დასრულდა.

ჯიმი 2014 წლის სექტემბერში დაიკარგა. ის სახლში მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა, როდესაც ქუჩაში სასეირნოდ გაუშვეს. პატრონები მას ეძებდნენ, ქუჩებში გამოაკრეს განცხადებები, დადიოდნენ პოლიციასა და ცხოველთა თავშესაფრებში, თუმცა – უშედეგოდ.

## მოსწავლემ 93 წლის ბებია გამოსაშვებ საღამოზე მიიწვია



ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის მცხოვრებმა თავისი 93 წლის ბებია სკოლის გამოსაშვებ საღამოზე დაპატიჟა.

კონორ კემპბელმა ბეტი ჯეინ კინს ჯერ კიდევ 2016 წელს შესთავაზა მასთან ერთად დასწრებოდა სკოლის გამოსაშვებ საღამოს. 2017 წლის აპრილში პენსიონერმა ქალბატონმა თავისთვის საგანგებო კაბა შეუკვეთა. გამოსაშვები საღამოსთვის მან ასევე გაიკეთა მაკიაჟი, ვარცხნილობა და მანიკიური.

კინის თქმით, სკოლის დაახლოებით 100 მოსწავლე მას წვეულებაზე მისვლის დროს მხურვალედ მიესალმა.

– მათ შესანიშნავად გაატარეს დრო და მას საკუთარ ცხოვრებაში საუკეთესო მოვლენა უწოდეს, – განაცხადა მოსწავლის დედამ ჟაკლინმა.

## სკარლეტ იოჰანსონმა ივანკა ტრამპს მშიშარა უწოდა

ჰოლივუდის მსახიობმა სკარლეტ იოჰანსონმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ქალიშვილ ივანკას – მშიშარა, ხოლო მის ქმედებებს ძველმოდური უწოდა.

შესაბამისი განცხადება მსახიობმა ჟურნალისტ არიანა ჰაფინგტონისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა, რომელიც კონფერენციის „ქალები მსოფლიოში" ფარგლებში შედგა და რომელიც ნიუ იორკში მიმდინარეობდა.

გამოცხადებული იყო, რომ 32 წლის იოჰანსონი ისაუბრებდა საკუთარ სამუშაოზე, სამოქალაქო აქტი-



ურობასა და დედობის საკითხებზე, თუმცა ჰაფინგტონმა ინტერვიუს დასაწყისშივე მსახიობს დაუსვა კითხვა, რომელიც ივანკა ტრამპს შეეხებოდა.

იოჰანსონმა უპასუხა, რომ გაოგნებულია ივანკას მიერ არც ისე დიდი ხნის წინ მიცემული ინტერვიუთი, რომელშიც მან აღიარა, რომ მამას აკრიტიკებს, მაგრამ არა – სახალხოდ. მსახიობმა ასევე განაცხადა, რომ იდეა, რომ დიდი მამაკაცის ზურგს უკან აუცილებლად დიდი ქალი დგას, ძველმოდურია.

– ეს სრულიად არ აღმაფრთოვანებს და, საერთოდ, ვფიქრობ, ეს, უბრალოდ, სიმხდალეა და მეტი არაფერი, – აღნიშნა იოჰანსონმა.

მსახიობმა ისიც აღნიშნა, რომ ივანკას ბავშვობიდან იცნობს, ვინაიდან ორივე ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე გარემოში იზრდებოდნენ ნიუ იორკში. იოჰანსონის თქმით, 35 წლის ივანკა ტრამპს ახლა არცთუ ადვილი ცხოვრება აქვს.

## ასტროპროგნოზი

### 11 აპრილისათვის



**ვერძი** – ეს დღე აღინიშნება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ტენდენციებით. საქმიანი კონტაქტები ნაყოფიერი არ იქნება. **კურო** – პასიური დღეა. მშვიდად იყავით და საკუთარი შეცდომების გამოსწორებაზე იფიქრეთ. **ტყუპები** – ერიდეთ კონფლიქტს ნათესავებთან. ემოციებს ნუ აჰყვებით. **კირჩხიბი** – წონასწორობა შეინარჩუნეთ. ეცადეთ, ეს დღე ბუნებასთან სიახლოვეს გაატაროთ. **ლომი** – ვარსკვლავები გმფარველობენ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. **ქალწული** – საქმიან ურთიერთობებში პრობლემებია მოსალოდნელი. მიენდეთ ინტუიციას. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. მოსალოდნელია ურთიერთობის გაუარესება კოლეგებთან. **ღრიანკალი** – აქტიური დღეა. შრომა უთუოდ დაგიფასდებათ. უფროსობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **მშვილდოსანი** – ახალ ნაცნობობას ერიდეთ. საქმიანი კონტაქტები მაქსიმალურად შეზღუდეთ. **თხის რქა** – თქვენი არასტანდარტული შეხედულებები სამსახურში ხელმძღვანელობისა და კოლეგების უკმაყოფილებას გამოიწვევს. დისციპლინა და ორგანიზებულობა დღის დევიზია. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. ანგარიში გაუწიეთ სხვის აზრს. **თევზები** – ნებისმიერი წამოწყება სასიკეთოა. თქვენი ოპტიმიზმი გადამდებია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბაზრის ძველი სახელწოდება საქართველოში; 2. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 3. ცნობილი მექსიკელი მხატვარი; 4. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 5. ორგანული ნივთიერებების მაღალ ტემპერატურაზე გადამუშავების პროცესი; 8. კლინიკაში, ავადმყოფის მეთვალყურე სტუდენტი-მედიკოსი; 12. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 14. მოკლე გონებამახვილური გამონათქვამი; 16. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 18. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 19. წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისგან მომზადებული კერძი.

**თარაზულად:** 6. ნოდარ დუმბაძის რომანი; 7. ეკოლოგთა, ბუნების დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. ესკიმოსთა ნავი; 9. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 10. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 11. დანადგარი, სადაც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 15. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. პატარა მწერი, მუმლი; 19. აეროპორტი ერევანში; 21. სინაგოგაში – მთავარი მგალობელი; 22. ბრიტანელი პოლიციელი; 23. ასანთის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**შვეულად:** 1. არმანიაკი; 6. პლასტუნი; 7. ინსაიდი; 9. ლანსიე; 10. მინა; 11. კასტეტი; 13. რაფია; 15. პარიკი; 17. ნიტრონი; 18. კიმონო; 19. აპათია; 20. მარადია.

**შვეულად:** 1. არიოზო; 2. იუდა; 3. პლასტრონი; 4. მუარი; 5. ნირვანა; 8. არხარი; 9. ლიტურგიკა; 12. მარინა; 14. ფინეთი; 16. ინოლა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იმპორტი; 2. მანსარდა; 3. ოპელი; 4. რუანდა; 5. სიო; 6. ურო; 7. კალენდარი; 8. სინდისი; 9. პას; 10. აკირა; 11. თონე; 12. ალია; 13. კარმენ; 14. სტატისტი; 15. პრადო; 16. როკადა; 17. პანთერა; 18. მონპელიე; 19. ოკარინა; 20. ლაგუნა; 21. მე; 22. არმია; 23. ლემპირა; 24. კონიაკი; 25. გვიანა; 26. ჰალსტუხი; 27. ჰაბანერა; 28. მალარმე; 29. ომეგა; 30. ნონა.

**სურათებზე:** ჟიულ დელპი; მანუელ ალმუნია.

# „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ბრაზილიელი მოდელი ანა ბაროსი იცეკვებს

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალ სეზონში ქართველ მონაწილეებთან ერთად უცხოელი ვარსკვლავებიც მიიღებენ მონაწილეობას. უკვე ცნობილია, რომ პროექტში მიწვეულია საქართველოში შემოსული მეექვსე მილიონე ტურისტი ჯასპერ ბლექი. მისი მეწყვილე ვერკა ჯაჯანიძე იქნება.



მეორე უცხოელი ვარსკვლავი, რომელიც პროექტის პროდიუსერებმა მოიწვიეს, ბრაზილიელი მოდელი ანა ბაროსია. მისი მეწყვილეს შესახებ ინფორმაციას პროდიუსერები ამ დრომდე არ ასაჯაროვებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, პროექტის ახალ სეზონში იცეკვებენ საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში თათია დოლიძე. მისი მეწყვილე ოთო ფოლადაშვილი იქნება. ოთომ წინა სეზონში მონაწილეობა არ მიიღო, მოგვიანებით კი ცეკვას საერთოდ ჩამოშორდა. ამის მიზეზი მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები გახდა. ოთომ თვალებზე ოპერაცია უკვე გაიკეთა, გამოჯანმრთელდა და ცეკვაც უპრობლემოდ შეუძლია.

თათიასთან ერთად „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მაყურებლის წინაშე წარდგებიან მომღერალი სოფო გელოვანი, მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი, მომღერალი მარკუს მეტრეველი, მოდელი ალექსანდრა პაიჭაძე და ბიზნესმენი ირაკლი მაქაცარია.

უკვე ცნობილ ადამიანებთან ერთად, შოუში მონაწილეობის შანსი ეძლევა კიდევ ერთ კონკურსანტს, რომელიც პროდიუსერებმა ინტერნეტში გამოქვეყნებული ვიდეოების საშუალებით აირჩიეს.

შოუს პროდიუსერის ნოე სულაბერიძის განცხადებით, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ დამატებითი ვარსკვლავის საკონკურსო ვიდეორგოლებიდან ერთი საუკეთესოს გამორჩევა გაუჭირდათ, ამიტომ შანსი ორ კონკურსანტს მისცეს:

– დამატებით მეთორმეტე ადგილას, ძალიან ბევრი ვიდეო მოვიდა წელს და უძლიერესი კონკურსანტები იყვნენ. ბოლოს განსაკუთრებით ორი ლიდერობდა, სალომე კოკუაშვილი და ოლიკო კობახიძე. გამომდინარე იქიდან, რომ სხვაობა ამ ორ მონაწილეს შორის თითქმის არაა და თან ორივე ძალიან საინტერესო იქნებოდა პროექტში, გამარჯვებული ამ მოცემულობით ჩვენთვის არის ორივე. ამიტომ ჩვენ მივიღეთ უპრეცედენტო გადაწყვეტილება: საპრეზენტაციო ტურზე იცეკვებს სალომეც და ოლიკოც, ხოლო მაყურებელი ცეკვის ხილვის შემდეგ გადაწყვეტს, თუ ვინ გააგრძელებს საკონკურსო სვლას.

# გივი ბერიკაშვილი გარდაიცვალა



ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი გივი ბერიკაშვილი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ინფორმაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გაავრცელა:

– 10 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილისა და იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, „ხელოვნების ქურუმი“, ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი გივი ბერიკაშვილი. გივი ბერიკაშვილმა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ სამსახიობო მოღვაწეობა დაიწყო სოხუმის თეატრში, შემდეგ იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, შემდეგ რუსთავის თეატრის დამაარსებელთა შორის გახლდათ, სხვა მის კოლეგა-თანამოაზრეებთან ერთად გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, ხოლო მოგვიანებით ისევ მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე ამ თეატრის წამყვანი მსახიობი იყო.

მის მიერ თეატრის სცენაზე განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია მეფე ერეკლე, მიტუა, ალექსანდრე ჩინჩახელი, ტიგრან გულოიანი, ბულიკა, ლალე, ჯენარო, ბონდო ლანჩავა, ლუარსაბ თათქარიძე, ფოლსტაფი, მილერი, ლელთ ღუნია, ვასილ ახმეტელი, სენიორ ბალბოა... მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა მისი გმირები ფილმებიდან „ლონდრე“, „სიყვარული ყველას უნდა“, „ღვინის ქურდები“, „პეპელა“, „სამოთხის გვრიტები“, „მიჯაჭვული რაინდები“...

მსახიობის 75 წლის იუბილეზე მარჯანიშვილის თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა, გამოიცა წიგნი „სახალხო არტისტი – გივი ბერიკაშვილი“.

გივი ბერიკაშვილის გარდაცვალებას გამოეხმაურნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

**გიორგი მარგველაშვილი:**

– სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულს, გივი ბერიკაშვილს უკანასკნელ გზაზე ხალხის დიდი სიყვარული და აღიარება მიჰყვება. სიხარული, რომელსაც იუმორითა და ჰუმანიზმით გაჯერებული მისი თეატრალური თუ კინოროლები გვანიჭებდა არაერთ თაობას, ჩემი ბავშვობის საუკეთესო მოგონებათა რიგს ეკუთვნის. ბატონი გივის აქტიური და მართალი სამოქალაქო პოზიცია იმავე ენერგიით იკვებებოდა, რითაც მისი შემოქმედება – ადამიანისა და სამშობლოს სიყვარულით. წინასაარჩევნო პერიოდში მისი თანადგომა განსაკუთრებით ძვირფასი და გამამხნევებელი იყო ჩემთვის. ქართულ საზოგადოებასთან ერთად, პატივს მივაგებ მის ნათელ ხსოვნას.

გიორგი კვირიკაშვილი:

– ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ მთელი ჩვენი ქვეყნისთვის საყვარელი ადამიანის და ნამდვილი სახალხო არტისტის გივი ბერიკაშვილის გარდაცვალების გამო. გივი ბერიკაშვილმა ქართულ კინოსა და თეატრში დაუვიწყარი სახეები შექმნა. ძალიან დასანანია, რომ თანამედროვე ქართული კულტურის მოღვაწეთა შესანიშნავ პლეადას ღირსეული წარმომადგენელი გამოაკლდა. ბატონი გივის ცხოვრება მთლიანად იყო დაკავშირებული თავის ქვეყანასთან, ხალხთან. ის იყო დიდი პატრიოტი და მოქალაქე. გულწრფელად თანავუგრძნობ ბატონი გივის ოჯახს, ახლობლებს, მთელ საქართველოს ამ დიდი დანაკლისის გამო.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, პანაშვიდები გაიმართება 11 და12 აპრილს მსახიობის საცხოვრებელ სახლში, სამოქალაქო პანაშვიდი 13 აპრილს მარჯანიშვილის თეატრში შედგება, სადაც ყველა მსურველს გივი ბერიკაშვილთან გამომშვიდობების საშუალება მიეცემა.

# ზურა ვადაჭკორიას სარეაბილიტაციო მკურნალობა ესაჭიროება



ილუზიონისტი ზურა ვადაჭკორია უკვე რამდენიმე კვირაა ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში წევს.

მისი მეგობრები ყველაფერს აკეთებენ, რომ მას და მის ოჯახს მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში როგორმე დაეხმარონ, თუმცა მკურნალობისთვის ცოტა ფული ნამდვილად არ არის საჭირო. ამიტომ ილუზიონისტის მეგობრები დახმარებისთვის ისევ საზოგადოებას მიმართავენ:

– ზურაბ ვადაჭკორია უკვე თვეზე მეტია, რაც ინგოროყვას კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში სიკვდილს ებრძვის. დღეს მივიღეთ ინფორმაცია, რომ ესაჭიროება სარეაბილიტაციო დაწესებულებაში გადაყვანა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

მოგმართავთ თხოვნით, თუ ვინმეს რაიმე საშუალება გაქვთ, დავეხმაროთ ამ უსაყვარლეს ადამიანს, რათა გაიხანგრძლივოს სიცოცხლე.

# ბოდბის წმიდა გიორგის ტაძარში იკონოსტასის რესტავრაცია მიმდინარეობს



ბოდბის წმიდა გიორგის ტაძარში იკონოსტასის რესტავრაცია მიმდინარეობს. ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის იკონოსტასი, ტაძრის მოხატულობასთან ერთად, ქართველ ოსტატებს შეუსრულებიათ ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის იოანე ბოდბელის – მაყაშვილის დაკვეთით. ის XVIII საუკუნის გარეჯული იკონოსტასების ტრადიციებს აგრძელებს და ამ ჯგუფის ბოლო შემორჩენილი ნიმუშია.

მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფ იკონოსტასს დაზიანებული ჰქონდა როგორც თაბაშირის, ასევე ხის ნაწილები, სხვადასხვა მასალის საფუძველზე – თაბაშირი, ხე და ტილო – შესრულებული ხატები, ასევე ფოთლოვან-ყვავილოვანი რელიეფური ორნამენტით შემკული არეები, გადაღებილი ბრინჯაოს საღებავით.

ფიზიკური სამუშაოები განსაკუთრებულ სიფაქიზესა და გულისყურს მოითხოვდა. ხატების გაწმენდა-კონსერვაციაზე უფრო რთული, მეთოდოლოგიურადაც და პრაქტიკულადაც, კვეთილი დეკორის გაწმენდა-რესტავრაცია იყო. ამასთანავე რესტავრატორებს ძლიერი ტოქსიკური მასალებით უწევდათ მუშაობა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიის და თეორიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად სარესტავრაციო სამუშაოები აწარმოა, შესწავლილ იქნა ტაძარში არსებული გარემო პირობები – ტემპერატურა და ტენიანობა, ჩატარდა ლაბორატორიული ანალიზები, აღდგა ფერწერული ხატები, იკონოსტასს მოსცილდა წინა პერიოდის ჩარევების კვალი – ბრინჯაოს საღებავი, შეივსო და დაიფარა კანკელის დაკარგული ადგილები და მოხდა კანკელის მერქნის დეზინსექცია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# შერმადინის და ბურჯანაძის ანდორამ ლიდერი დაამარცხა

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურში მოედანზე ყველა ქართველი ვერ გავიდა. თორნიკე შენგელიამ მადრიდში რეალთან ვერ ითამაშა, რისი მიზეზიც გრიპის ვირუსია. ქართველი ლეგიონერი ბასკონიას ესპანეთის დედაქალაქში კი ჩაყვა, სათადარიგოთა სკამზეც იყო, მაგრამ მოედანზე არ გასულა.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მადრიდელთა გამარჯვებით – 86:82 დასრულდა. ბასკონიას 18 მოგება და 8 მარცხი აქვს და მე-5 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩში კი უშუალო კონკურენტ გრან კანარიას უმასპინძლებს.

სამაგიეროდ, ბექა ბურჯანაძისა და გიორგი შერმადინის ანდორამ ლიგის ერთპიროვნული ლიდერი ტენერიფე 85:83 დაამარცხა. გამარჯვებაში ლომის წილი ქართველებმა დაიდეს.

ანდორელებს ბექა ბურჯანაძემ ულიდერა, რომელიც კვლავ სასტარტო ხუთეულში იყო და სარგებლიანობის საუკეთესო მაჩვენებელიც ჰქონდა.

ბექამ 29 წუთში 6 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 2-დან 1 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

ჩვეულად სარგებლიანი იყო გიორგი შერმადინიც, რომელმაც ასევე სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 26 წუთში 13 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა. გიორგიმ 8-დან 3 ორქულიანი და 10-დან 7 საჯარიმო გამოიყენა.

ანდორელებმა 14 მოგება და 12 მარცხი მოაგროვეს და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილს ინარჩუნებენ, რომელიც პლეიოფში თამაშის საშუალებას იძლევა. ქართველთა კლუბი მომდევნო მატჩს მალაგაში ჩაატარებს უნიკახასთან.

საბერძნეთის ჩემპიონატში პრინციპული მატჩი მოიგო მაიკლ დიქსონის აეკმა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი უკანახაზელის გუნდმა კოლოსოსს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 82:81 სძლია.



გამარჯვებულებს სწორედ დიქსონმა ულიდერა, რომელმაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. დიქსონი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 23 წუთი გაატარა. მაიკლმა 4-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 8-დან 8 საჯარიმო ჩააგდო. დიქსონის ანგარიშზე საბოლოოდ 18 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა დაგროვდა.

19 მოგებითა და 6 მარცხით აეკი მყარად მესამე ადგილზეა და რეგულარულ ჩემპიონატსაც ამ საფეხურზე დაასრულებს. მორიგ მატჩს დიქსონის გუნდი სტუმრად არისთან გამართავს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა, დუდა სანაძემ, რომელიც სლოვენიური პრიმორსკას ღირსებას იცავს, ჩემპიონატში შედეგიანი მატჩი გამართა, თუმცა მისი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. კოპერელები ტაიფუნს ესტუმრნენ და 64:87 დამარცხდნენ.

სანაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 26 წუთში 15 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. დუდამ 9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო.

შეგახსენებთ, რომ პრიმორსკა არასაჩემპიონო ჯგუფში, 7-12 ადგილებისთვის თამაშობს და 13 მოგებითა და 3 მარცხით მე-7 პოზიცია უკავია.

სანაძის კლუბი მომდევნო მატჩს შინ, ერთ-ერთ აუტსაიდერ კასტინგთან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პროგრამა

### სამშაბათი 11 აპრილი

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 02.50** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.50** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** თოქ-შოუ . სპორტი **360** **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პირველი **1/4** ფინალური მატჩი **00.40** მხ/ფ "**მარიამი - შოტლანდიელთა დედოფალი**" (ვ.რედგრეივი)

**08.00** დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" **09.00** დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "გენერალი კანჯი იშივარა" **15.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **17.55** ფუტზალი - ევროპის **2018** წლის შესარჩევი ტურნირის მეინ-რაუნდი. **საქართველო - იტალია** **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **22.45** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის პირველი **1/4** ფინალური მატჩი **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** მხ/ფ "**სოლტი**" (ა.ჯოლი)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** ს დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** სერ. "**თეთრი დედოფალი**" **5** სერ. **01.30** მხ/ფ "**დროის ხაფანგი**"

**06.00, 19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

**08.00** ან/სერ. "პუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **13.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**კალათბურთელის დღიური**" **00.30** მხ/ფ "**კოკაინი**" **02.50** მხ/ფ "**ჩემი პირადი აიდაჰო**"

**06.10** დ/ფ "საგუშაგო კოშკი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **2** **10.35** პატერიკი **10.40** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **10.50** ყველაზე, ყველაზე..."ბუნების საოცრებები" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** ვნების კვირა წმინდა მიწაზე **2** ნაწ. **12.50** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ქრისტიანული ხელოვნება "ივერიის ღვთისმშობლის ხატი" **16.30** დიდი სამშაბათი-მამა მაქსიმე **17.30** კვირიაკის სიუჟეტი-წმინდა მიწაზე **2** ნაწ. **17.45** სიბრძნისმეტყველება **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.50** ღია აუდიტორია **20.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება ვნების შვიდეულის-სამშაბათი **20.40** ძილი ნებისა "წმინდა გიორგი მთაწმინდელი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** იუდას მიერ უფლის გაცემის დღე **00.30** სალვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.4151

ევრო — 2.5680

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9991

100 რუსული რუბლი — 4.2441

## ამინდის პროგნოზი 11 აპრილისთვის





11 აპრილიდან

ბერძნული მითები




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 აპრილიდან



ლიონ ფოიხტვანგერი

გოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

6 აპრილიდან

საბავშვო ბიბლია




ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი




## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ისევ სვამ?! გონს მოდი! იმაზე იფიქრე, რა გელის მომავალში!

– ნათელი, გაუფილტრავი.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მე ეკონომკლასით არასოდეს დავფრინავ.

– ყოჩაღ, პირველი კლასით დაფრინავ თუ ბიზნესკლასით?

– არა, „პლაცკარტით“.

●●●

ღამით ქმარი მეუღლეს მოსვენებას არ აძლევს. ქალი უარზეა, ეუბნება, რომ სამსახურში გადაიღალა, მერე სახლი დაალაგა, დარეცხა და არაფრის თავი და ხალისი არ აქვს. ქმარი ეუბნება:

– მომისმინე, მოდი, ბრაზილიურად გავაკეთოთ.

ცოლი დაინტერესდა და ეუბნება:

– კარგი, მიდი.

ქმარმა ყველაფერი ჩვეულებრივ გააკეთა, ხოლო როგორც კი დაამთავრა, გადაბრუნდა და დაიძინა. ცოლი აღვიძებს და ეკითხება:

– ძვირფასო, რა შუაში იყო ბრაზილია?

– ოჰ, მაპატიე... დამავიწყდა... ჩა-ჩა-ჩა...

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– სულ არ მაქცევ ყურადღებას, ისიც კი ვერ შენიშნე, თმა რომ შევიღებე!

– შევნიშნე, როგორ არ შევნიშნე.

– არ შემიღებია, არა!

●●●

დაქალები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– გავიგე, რომ შეყვარებული გყავს.

– გაიგე? ნუთუ ასე ხმამაღლა ვყვიროდი?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენ როგორი გოგოები მოგწონს?

– 190-160-190.

– ასეთი სქელები?

– არა, მაღლები, ხოლო მათ შორის ერთი ტანდაბალი!

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ნათია შეიძლება?

– ვინ კითხულობს?

– მეგობარი.

– როგორც მეგობარი მეგობარს გეტყვი: ნათია – შეიძლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ბარსელონამ შესაძლოა ჟორდი ალბა ტრანსფერზე დააყენოს



ბარსელონაში ჟორდი ალბას თამაშით უკმაყოფილოები არიან და შესაძლოა წლევანდელ ზაფხულს ალბა ტრანსფერზეც დააყენონ. ჯერჯერობით ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, მაგრამ ალბას ბარსელონადან წასვლის თაობაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. წლევანდელ სეზონში ჟორდი ვერ აჩვენებს ისეთ სტაბილურ თამაშს, როგორც წინა წლებში, ამიტომ თუ ბარსელონა სარფიან წინადადებას მიიღებს, სავარაუდოდ, ალბას ბარსელონა გაყიდის.

ჟორდი ალბა ბარსელონაში 2012 წლის ზაფხულში გადავიდა და ის კატალონიური გუნდის მაისურით უკვე მე-5 სეზონს ატარებს. ბარსელონასთან ერთად ალბამ სამჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ერთხელ – ჩემპიონთა ლიგა.

## მატს ჰუმელსი სავარაუდოდ რეალთან შეხვედრას გამოტოვებს



მიუნხენის ბაიერნის ცენტრალური მცველი მატს ჰუმელსი ტრავმირებულია და სავარაუდოდ ის რეალთან პირველ მატჩს გამოტოვებს.

ჰუმელსმა ტრავმა ბორუსიასთან შეხვედრის დროს მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა. ჰუმელსის ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ შესაძლოა მან რეალთან პირველი შეხვედრა გამოტოვოს, რომელიც ოთხშაბათს მიუნხენში გაიმართება. ექიმები ჯერჯერობით საბოლოო პროგნოზს არ აკეთებენ, ამიტომ არსებობს მცირე შანსი, რომ ჰუმელსი ოთხშაბათს მოედანზე გამოვა.

განმეორებითი მატჩისთვის, რომელიც 18 აპრილს გაიმართება, ჰუმელსი მზად იქნება. ჰუმელსის გარდა, ტრავმა აქვს ტომას მიულერსაც.

## ტონი ადამსი გრანადას მწვრთნელი გახდა



არსენალის ყოფილი კაპიტანი ტონი ადამსი სეზონის ბოლომდე ესპანურ გრანადას უხელმძღვანელებს. ეს ინფორმაცია გრანადამ ოფიციალურად დაადასტურა.

თუ ადამსი თავის სამუშაოს წარმატებულად გაართმევს თავს, ის შესაძლოა მომავალ სეზონშიც დარჩეს გრანადაში.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ადამსი რამდენიმე ინგლისურ გუნდს წვრთნიდა, თუმცა ნაკლები წარმატებით და სავარაუდოდ მას გრანადაშიც არ ელის იოლი ცხოვრება, რადგან ამჟამად ეს გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მეცხრამეტე ადგილს იკავებს და გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ინგლისელი მწვრთნელები ესპანეთში წარმატებას ვერ აღწევენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მანჩესტერ სიტი ალექსის სანჩესში 50 მილიონ ფუნტს იხდის



მანჩესტერ სიტი არსენალის ფორვარდის ალექსის სანჩესის შეძენას შეეცდება. სანჩესმა არაერთხელ განაცხადა, რომ მან შესაძლოა სეზონის ბოლოს არსენალი დატოვოს, რადგან ტიტულების მოგება სურს.

მანჩესტერ სიტი, თავის მხრივ, კიდევ ერთ ძლიერ ფორვარდს ეძებს და მზად არის, სანჩესის ტრანსფერში 50 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს. ამ თანხაზე სავარაუდოდ არსენალი ყაბულს იქნება და სანჩესის სიტიში გადასვლა საკმაოდ რეალური ჩანს.

ალექსისის შეძენა პსჟ-საც სურს, თუმცა სანჩესმა განაცხადა, რომ მას ინგლისში დარჩენა ურჩევნია, რადგან იქ ცხოვრება მოსწონს.

## კლაუდიო ბრავომ ბოლო 7 დარტყმიდან მის კარში შვიდივე გაუშვა



მანჩესტერ სიტის მეკარეს კლაუდიო ბრავოს ინგლისის ჩემპიონატში ძალიან ცუდი სტატისტიკა აქვს. ბოლო 3 შეხვედრაში, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, ბრავოს კარში 7-ჯერ დაარტყეს და შვიდივე დარტყმა გოლით დასრულდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრავომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და სიტის პირველი ნომერი არგენტინელი გოლკიპერი ვილი კაბალიეროა.

ბრავო მანჩესტერ სიტიში წლევანდელ ზაფხულს გადავიდა, მაგრამ ჯერჯერობით ინგლისურ ფეხბურთს ალღო ვერ აუღო. არ არის გამორიცხული, ბრავომ მანჩესტერ სიტი დატოვოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამიჯნურო ხასიათის სპარსული ოთხსტრიქონიანი ლექსი; 2. აშშ-ს პრეზიდენტი; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 8. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 11. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 12. ამერიკელი ბიოქიმიკოსი დ.ნ.მ.-ის ერთ-ერთი აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 18. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო.

**თარაზულად:** 1. ბრიტანელი მაგნატი, საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი; 5. რაიმე შემთხვევის შემსწრე, მნახველი; 7. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 9. კაზაკთა წინამძღოლი; 10. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 13. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 14. ცხარე ბოსტნეული; 15. ტანსაცმლის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 19. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 20. ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 21. შემაგრებული ღვინო; 22. სამკურნალო ტალახით მდიდარი ზღვის თხელი სანაპირო.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი